



დამტკიცებულია ცვლილებებით:

შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის  
აკადემიური საბჭოს 2021 წლის 09 ივლისის N34 დადგენილებით

## შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი

### თავი I-ზოგადი დებულებანი

#### მუხლი 1. რეგულირების სფერო

1. წესი არეგულირებს შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის ძირითად საკითხებს. მისი დაცვა სავალდებულოა სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში ჩართული ყველა პირისთვის.

2. საკითხები, რომელიც არ არის მოწესრიგებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით, რეგულირდება პროფესიულ სფეროში მოქმედი კანონმდებლობით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებებით, სასწავლო უნივერსიტეტის წესდებითა და რექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტების მიხედვით.

#### მუხლი 2 . ტერმინთა განმარტება

1. ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) **სასწავლო უნივერსიტეტი** - სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი;

ბ) **ადმინისტრაცია** - სასწავლო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა ან პასუხისმგებელი პირი;

გ) **აპლიკანტი** – პირი, რომელსაც აქვს საქართველოში გაცემული ან მასთან გათანაბრებული საბაზო ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, აკმაყოფილებს პროფესიის სპეციფიკიდან გამომდინარე პროფესიული სტანდარტით/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით დადგენილ დამატებით მოთხოვნებს ან/და რომელიც პროფესიულ ტესტირებაზე გასვლის მიზნებისათვის დარეგისტრირებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის №152/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ ,, 2020 წლის 28 მაისის 59/ნ ბრძანებით დადგენილი წესით და სწავლის გაგრძელებას აპირებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე;

დ) **პროფესიული სტუდენტი** - პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირი;



ე) **გარდამავალი (მომლოდინე) პროფესიული სტუდენტი** - პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურენოვანი ტესტირების/შერჩევის შედეგების საფუძველზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტი, რომელმაც დაძლია ქართული ენის მოდული/მოდულები;

ვ) **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (შემდეგში „პროგრამა“)** - საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც ორიენტირებულია პრაქტიკული ცოდნისა და უნარების გამომუშავებაზე და სრულდება შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებით. პროგრამა აერთიანებს პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად საჭირო სასწავლო კურსებს/მოდულებს. პროგრამით განისაზღვრება პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, პროფესიული სტუდენტის დატვირთვა კრედიტებში, სწავლების მეთოდები და შეფასების ფორმები;

ზ) **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი** - დოკუმენტი, რომლითაც განისაზღვრება შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად საჭირო კრედიტების მოცულობა, მისაღწევი სწავლის შედეგები, იმ მოდულების ერთობლიობა, რომელთა სწავლის შედეგების მიღწევა აუცილებელია პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად, აგრეთვე შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების და პროგრამის განხორციელების წინაპირობები, შესარჩევი სწავლების მეთოდებისა და შეფასების სისტემის ალტერნატიული ჩამონათვალი;

თ) **მოდულური პროგრამა** - ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;

ი) **დუალური პროგრამა**- ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული 50% -ზე მეტი სწავლის შედეგები რეალურ სამუშაო გარემოში მიიღწევა.

კ) **საშუალო საფეხურის ინტეგრირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა-ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების გზით შემუშავებული პროგრამა**, რომლის მიზანია საბაზო ზოგადი განათლების მქონე პირებისთვის პროფესიის შესწავლის პარალელურად სრული ზოგადი განათლების მიწოდება და ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს მეოთხე დონის შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭება, რაც სრულდება ზოგადი განათლების დამადასტურებელ დოკუმენტთან გათანაბრებული დიპლომის გაცემით.

ლ) **მოდული**- პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის ფარგლებში არსებული ან დამოუკიდებლად შემუშავებული კომპონენტი, რომელიც აერთიანებს ერთმანეთთან ლოგიკურად დაკავშირებულ სწავლის შედეგებს, აღწერს მათი მიღწევის გზებს, საშუალებებსა და დადასტურების პირობებს;

მ) **ინტეგრირება** - ეროვნული სასწავლო გეგმის საშუალო საფეხურის მოთხოვნების ასახვა პროგრამის იმ კომპონენტებში, რომლებიც ორიენტირებულია საკვანძო კომპეტენციების ან/და ტრანსფერული უნარების გამომუშავებასა და განვითარებაზე.



**ნ) ინტეგრირებული ზოგადი მოდული-** ინტეგრირების მიზნებისათვის, პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტების ზოგადი მოდულებისა და ეროვნული სასწავლო გეგმის საშუალო საფეხურის სავალდებულო საგანთა ჯგუფის გაერთიანება.

**ო) პროფესიული მომზადების პროგრამა** არის პროგრამა, რომელიც პირს ამზადებს პროფესიასთან დაკავშირებული ცალკეული ამოცანებისა და მოვალეობების შესასრულებლად. პროფესიული მომზადების პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები შეიძლება შეესაბამებოდეს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-2/მე-3/მე-4/მე-5 დონეს, რომელთან შესაბამისობაც დგინდება საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ განსაზღვრული მეთოდოლოგიით, რომელზეც არ გაიცემა კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომი და გაიცემა სახელმწიფოს მიერ აღიარებული მიღებული ცოდნა-უნარების დამადასტურებელი სერთიფიკატი;

**პ) პროფესიული გადამზადების პროგრამა** არის პროგრამა, რომლის მიზანია კომპეტენციების შეძენა ან/და განვითარება იმავე სფეროში პროფესიული საქმიანობის განსახორციელებლად. პროფესიული გადამზადების პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები შეიძლება შეესაბამებოდეს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-2/მე-3/მე-4/მე-5 დონეს, რომელთან შესაბამისობაც დგინდება საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ განსაზღვრული მეთოდოლოგიით, რომელზეც არ გაიცემა კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომი და გაიცემა სახელმწიფოს მიერ აღიარებული მიღებული ცოდნა-უნარების დამადასტურებელი სერთიფიკატი;

**ჟ) მოკლევადიანი სასწავლო ტრენინგ - კურსი,** პროგრამა, რომელზეც გაიცემა მიღებული ცოდნა-უნარების დამადასტურებელი სერთიფიკატი სასწავლო უნივერსიტეტის მიერ.

**რ) დიპლომის დანართი/სერთიფიკატის დანართი-** დოკუმენტი, რომელსაც გასცემს საგანმანათლებლო დაწესებულება პროფესიული სტუდენტის მიერ მიღებული განათლების შინაარსის დასადასტურებლად

**ს) პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება** - სასწავლო უნივერსიტეტსა და პროფესიული სტუდენტის უფლება-მოვალეობების შესრულებისაგან დროებით გათავისუფლება, სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გარეშე;

**ტ) პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა** - სტუდენტის უფლება-მოვალეობების შესრულებისაგან გათავისუფლება პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის უფლების გარეშე;

**უ) გარე მობილობა** - პროფესიული სტუდენტის, ერთი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის შემთხვევა.

**ფ) შიდა მობილობა** - პროფესიული სტუდენტის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ერთი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამიდან ამავე დაწესებულებაში სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გადასვლის შემთხვევა;

**ქ) ინკლუზიური განათლება** - სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის ჩართვა საგანმანათლებლო პროცესში;



დ) **სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტი** – ინტელექტუალური და განვითარების დარღვევის ან/და სენსორული (სმენისა და მხედველობის) ან/და ქცევითი და ემოციური დარღვევის ან/და ფიზიკური შეზღუდვის მქონე, ან/და სწავლის გამოხატული სირთულეების მქონე აპლიკანტი, რომლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება დასტურდება <http://www.matsne.gov.ge> 43003000022022017917 მულტიდისციპლინური გუნდის მიერ და რომელიც შესაძლოა საჭიროებდეს ტესტირების ალტერნატიული წესით ჩატარებას;“;

ე) **მსმენელი** - ტრენინგ- კურსზე ჩარიცხული პირი;

შ) **ვალიდაცია**- მოდულის განმახორციელებელი პირის მიერ შემუშავებული შეფასების ინსტრუმენტების შესაბამისობის დადასტურება კომპეტენტური პირების/ჯგუფის მიერ.

ჩ) **ვერიფიკაცია** -სასწავლო უნივერსიტეტში გამოყენებული შეფასების სისტემის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მექანიზმი.

(შეფასების სისტემის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი)

ც) **ანკეტა-კითხვარი** -სასწავლო უნივერსიტეტის მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტთა მიღების გამოცხადების მიზნით შექმნილი მოდული, რომელშიც აისახება ინფორმაცია სასწავლო უნივერსიტეტის, მისი პროგრამების, მისაღები ადგილებისა და სხვა პირობების შესახებ. ანკეტა-კითხვარი არის აპლიკანტთა რეგისტრაციის მიზნით შექმნილი სარეგისტრაციო სისტემის ინფორმაციის წყარო. ანკეტა-კითხვარის ფორმა მტკიცდება მართვის სისტემის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით

2. ტერმინებს, რომლებიც ამ წესით არ არის განმარტებული აქვთ მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული მნიშვნელობა.

## თავი II. - პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურა

### მუხლი 3. პროფესიული განათლების მიღების უფლება

1. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტთა ჩარიცხვა რეგულირდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის „ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ №42/ნ ბრძანებით

2. პროფესიული განათლების მიღების უფლება აქვს ყველა პირს, ზოგადი განათლების საბაზო (9 კლასი) საფეხურის დაძლევისა და კონკრეტული პროგრამისთვის დაწესებული მიღების წინაპირობების დაკმაყოფილების საფუძველზე.

3. პროფესიული განათლების სისტემაში არსებობს 3 ტიპის - საბაზო პროფესიული, საშუალო პროფესიული და უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.

ა) საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობას წარმოადგენს სულ მცირე საბაზო (9 კლასი) განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ფლობა;



ბ) საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობას წარმოადგენს სულ მცირე სრული ზოგადი (12 კლასი) განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის ფლობა. ამასთან, პირს, რომელიც ფლობს სულ მცირე საბაზო (9 კლასი) ზოგადი განათლების დამადასტურებელ დოკუმენტს, შეუძლია ჩარიცხოს ისეთ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (ე.წ. ინტეგრირებული პროგრამა), რომლის დასრულების შემდგომ გაიცემა სრული ზოგადი განათლების ატესტატთან გათანაბრებული დიპლომი.

გ) უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობას წარმოადგენს სულ მცირე სრული ზოგადი (12 კლასი) განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის ფლობა.

4. სასწავლო უნივერსიტეტის მიერ განხორციელებულ მოკლევადიან ტრენინგ კურსებზე ჩარიცხვის შესაძლებლობა აქვს ნებისმიერ პირს, თუ პროგრამით არ არის განსაზღვრული ბენეფიციართა/მსმენელთა სტატუსი.

5. მოკლევადიანი ტრენინგ კურსების განხორციელების მიზნით, საჭიროების შემთხვევაში, გამოიყენება ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი მისი განხორციელების წესის შესახებ.

6. პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამაზე მსმენელთა შერჩევა და ჩარიცხვის წესი რეგულირდება სასწავლო უნივერსიტეტის შიდა მარეგულირებელი დოკუმენტებით.

#### **მუხლი 4. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტთა ჩარიცხვის ეტაპები**

პროგრამაზე აპლიკანტთა ჩარიცხვის პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

ა) სასწავლო უნივერსიტეტის მიერ ანკეტა-კითხვარის შევსება;

ბ) აპლიკანტთა რეგისტრაცია;

გ) აპლიკანტთა პროფესიული ტესტირება ან/და აპლიკანტთა (მათ შორის სსსმ/შშმ ) შერჩევა;

დ) აპლიკანტთა რეიტინგული სიის შედგენა, რომლის ფორმა მტკიცდება სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით;

ე) შედეგების გამოცხადება და პროგრამაზე ჩარიცხვა, რის საფუძველზეც აპლიკანტს ენიჭება პროფესიული სტუდენტის სტატუსი;

ვ) დარჩენილი თავისუფალი ადგილების შევსება (არსებობის შემთხვევაში)



## მუხლი 5. ანკეტა-კითხვარის შევსება

1. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღების გამოცხადების მიზნით, სასწავლო უნივერსიტეტი შესაბამისი წლის 1 თებერვლიდან 15 თებერვლის ჩათვლით, ავსებს ანკეტა-კითხვარს ელექტრონულად.
2. საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, სასწავლო უნივერსიტეტი ვალდებულია მიღება გამოაცხადოს ორი სასწავლო გეგმით (სასწავლო გეგმა, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს და სასწავლო გეგმა, რომელიც არ მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს), თუ თავისუფალი ადგილების რაოდენობა და გარემო იძლევა ორი დამოუკიდებელი ჯგუფის ფორმირების შესაძლებლობას, კანონმდებლობით დადგენილი წესით.
3. მართვის სისტემაში სასწავლო უნივერსიტეტის მიერ შევსებული ინფორმაციის სისწორეზე პასუხისმგებელია პროფესიული განათლების განვითარების სამსახური.
4. მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაანგარიშება ხორციელდება შემდეგი პრინციპით:
  - ა) პროგრამისათვის განსაზღვრულ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას აკლდება ამ პროგრამის აქტიური სტატუსის მქონე პროფესიული სტუდენტების რაოდენობა და მიღებული სხვაობა ემატება ამ პროგრამაზე სწავლის დაწყების დროისათვის დამამთავრებელი პროფესიული სტუდენტების რაოდენობას;
  - ბ) აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა გამოითვლება სასწავლო უნივერსიტეტის მიერ მართვის სისტემაში ასახული მონაცემების შესაბამისად, ანკეტა-კითხვარის შევსების დაწყების წინა დღის მდგომარეობით;
  - გ) დამამთავრებელი პროფესიული სტუდენტების რაოდენობა გამოითვლება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის (შემდგომში - მინისტრი) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული სწავლის დაწყების თარიღის მდგომარეობით, მართვის სისტემაში არსებული მონაცემების შესაბამისად.
6. შერჩევის პერიოდის დასრულებიდან ორი სამუშაო დღის ვადაში სასწავლო უნივერსიტეტი უფლებამოსილია მისაღები ადგილები გაზარდოს შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე არსებული თავისუფალი ადგილების რაოდენობის ფარგლებში.



## მუხლი 6. აპლიკანტთა რეგისტრაცია

5. პროგრამაზე რეგისტრაციის მიზნით, პირი გადის ავტორიზაციას სარეგისტრაციო სისტემაში და რეგისტრირდება აპლიკანტად (სარეგისტრაციო სისტემა წარმოადგენს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის შემადგენელ ელექტრონულ მოდულს).
2. აპლიკანტთა რეგისტრაცია ხორციელდება მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილ ვადაში.
6. ელექტრონული რეგისტრაციისას შესავსები ველების ჩამონათვალი დგინდება მართვის სისტემის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
3. რეგისტრაციისას აპლიკანტი უფლებამოსილია აირჩიოს არაუმეტეს 3 სასურველი პროგრამა.
7. რეგისტრაციისას სარეგისტრაციო სისტემაში შეტანილი ინფორმაციის სისწორეზე პასუხისმგებელია აპლიკანტი. სარეგისტრაციო სისტემაში მცდარი მონაცემების ასახვა შესაძლოა გახდეს აპლიკანტის ჩარიცხვაზე უარის თქმის ან პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის შესახებ სასწავლო უნივერსიტეტის მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ნაწილობრივ ბათილად/ბათილად ცნობის საფუძველი.
8. რეგისტრაცია დასტურდება აპლიკანტის ელექტრონულ ფოსტასა და მობილური ტელეფონის ნომერზე ერთჯერადი კოდის გაგზავნით. შევსებული მონაცემები მისთვის ხელმისაწვდომია ინდივიდუალური ანგარიშის მეშვეობით.
9. აპლიკანტს არჩევანის შეცვლა შეუძლია რეგისტრაციისთვის დადგენილ ვადაში. შემდეგ, სარეგისტრაციო სისტემაში ცვლილებების შეტანა დაუშვებელია.
10. უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე რეგისტრაციის შემთხვევაში, აპლიკანტმა უნდა გაითვალისწინოს, რომ მართვის სისტემა იტოვებს შესაძლებლობას ტესტირების მიზნით, აპლიკანტი გადაანაწილოს სხვა საგამოცდო ქალაქში/მუნიციპალიტეტში.

## მუხლი 7. აპლიკანტთა შერჩევა

1. აპლიკანტთა შერჩევა გულისხმობს პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით აპლიკანტთა შეფასებას.
2. შერჩევის პერიოდი, ტესტირებისა და სწავლის დაწყების თარიღი განისაზღვრება მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით/აქტებით.
3. შერჩევა ხორციელდება ქართულ ენაზე, გარდა უცხოენოვანი პროგრამებისა.



## მუხლი 8. შერჩევა უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე

1. უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვისთვის აპლიკანტთა შეფასება ხორციელდება სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) მიერ ორგანიზებული ტესტირების საფუძველზე, რომლის ჩატარების თარიღი განისაზღვრება მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
2. სასწავლო უნივერსიტეტი უფლებამოსილია ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შეფასების გარდა, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვროს შეფასების დამატებითი მექანიზმები, რომელიც არეგულირებს:
  - ა) შერჩევის ვადებს და ამ ვადების სარეგისტრაციო სისტემაში ასახვას;
  - ბ) შეფასების თარიღების შესახებ აპლიკანტთა ინფორმირებას;
  - გ) შეფასების მეთოდებსა და ეტაპებს;
  - დ) შესარჩევი და სააპელაციო კომისიების ფორმირების, მათი მუშაობის, გადაწყვეტილების მიღების წესს;
  - ე) აპელაციის წესსა და ვადებს; <http://www.matsne.gov.ge> 43003000022022018042
  - ვ) აპლიკანტისთვის განსხვავებულ თარიღში შეფასების უზრუნველყოფის წესსა და პირობებს;
  - ზ) სასწავლო უნივერსიტეტისთვის მიერ განსაზღვრულ სხვა პირობებს.
3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში, თითოეულ უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტთა შეფასების თარიღი/თარიღები განისაზღვრება სასწავლო უნივერსიტეტისთვის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით მინისტრის ბრძანებით დადგენილ შერჩევის პერიოდში.
4. სასწავლო უნივერსიტეტი ვალდებულია აღნიშნული ინფორმაცია ასახოს სარეგისტრაციო სისტემაში და ასევე, განათავსოს მის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, შეფასების თარიღის დადგომამდე არაუგვიანეს 5 სამუშაო დღით ადრე და აცნობოს აპლიკანტს, გონივრულ ვადაში შეფასების თარიღის დადგომამდე არანაკლებ 3 დღით ადრე წერილობითი ფორმით
5. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში შესარჩევი და სააპელაციო კომისიების ფორმირების, მათი მუშაობისა და გადაწყვეტილების მიღების წესი მტკიცდება სასწავლო უნივერსიტეტის მიერ და გამორიცხავს მხოლოდ სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას და ითვალისწინებს პარტნიორი ორგანიზაციების მონაწილეობას.
6. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში სასწავლო უნივერსიტეტის შეფასება უნდა იყოს დიფერენცირებული და მინიმალური კომპეტენციის ზღვარი განისაზღვრება რექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით.
7. გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ტესტირებისთვის მინიმალური კომპეტენციის ზღვარს ადგენს ამავე ცენტრის დირექტორი.





8. იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტი ვერ გადალახავს ამ მუხლის მე-6 ან მე-7 პუნქტით გათვალისწინებულ მინიმალური კომპეტენციის ზღვარს დაკარგავს ჩარიცხვის უფლებას.
9. იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტი ვერ გადალახავს ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებულ მინიმალური კომპეტენციის ზღვარს, სასწავლო უნივერსიტეტი უფლებამოსილია არ დაუშვას აპლიკანტი ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შერჩევაზე.
10. მართვის სისტემა, შესაბამისი პროგრამისთვის რეიტინგულ სიას ადგენს, ტესტირებისა და დაწესებულების შეფასების საბოლოო შედეგების (ასეთის არსებობის შემთხვევაში), სოციალური სტატუსისა და განათლების მიღწეული დონის გათვალისწინებით, რომელსაც მართვის სისტემის უფროსი ამტკიცებს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
11. სასწავლო უნივერსიტეტი მინისტრის ბრძანებით დადგენილ აპლიკანტთა შერჩევის ვადებში მართვის სისტემაში ასახავს შეფასების შედეგებს იმ შემთხვევაში თუ პროგრამაზე განსაზღვრულია შერჩევის დამატებითი მეთოდი (შემოქმედებითი ტური ან/და სპეც. ტური ან/და შიდა ტესტირება და ა.შ) . ამავე ვადაში სასწავლო უნივერსიტეტი მართვის სისტემაში ასახავს ინფორმაციას ჩარიცხვის უფლების მოპოვების შესახებ სსსმ და იმ აპლიკანტებისათვის, რომლებსაც მინისტრის ბრძანებით აქვთ ტესტირების გავლის გარეშე უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება.
12. აპლიკანტის შეფასების შედეგი წარმოადგენს რეიტინგულ ქულას, გარდა ამ მუხლის მე-13 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.
13. თუ პროგრამაზე მიღებისთვის ტესტირებასთან ერთად დადგენილია სასწავლო უნივერსიტეტის შეფასება, საბოლოო შედეგის გაანგარიშების მიზნით, მართვის სისტემა უზრუნველყოფს ტესტირებისა და დაწესებულების შეფასების შედეგების განათავსებას ერთიან სკალაზე, მართვის სისტემის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული მეთოდით. თითოეული შეფასების შედეგების ხვედრითი წილი საბოლოო შედეგის გაანგარიშებისას არის 50%.
14. თუ აპლიკანტი არის სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში საარსებო შემწეობის მიმღები პირი, მისი რეიტინგული ქულა განისაზღვრება შეფასების შედეგად მიღებული ქულის 1.1. კოეფიციენტზე გამრავლებით.
15. უმაღლეს პროფესიულ პროგრამაზე დგება ორი რეიტინგული სია განათლების მიღწეული დონის მიხედვით:
  - ა) იმ აპლიკანტთა რეიტინგული ქულის გათვალისწინებით, რომელთა განათლების მიღწეული დონეა <http://www.matsne.gov.ge> 43003000022022018042 სრული ზოგადი განათლება;
  - ბ) იმ აპლიკანტთა რეიტინგული ქულის გათვალისწინებით, რომელთა განათლების მიღწეული დონეა პროფესიული ან უმაღლესი განათლება.
16. თუ აპლიკანტთა რაოდენობა ნაკლებია პროგრამაზე მისაღები ადგილების რაოდენობაზე,
17. რეიტინგულ სია დგება ყველა იმ აპლიკანტის გათვალისწინებით (მიუხედავად განათლების
18. მიღწეული დონისა), რომელთაც გადალახული აქვთ მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.



19. თანაბარი რეიტინგული ქულის მქონე აპლიკანტები რეიტინგულ სიაში დაიკავებენ ერთსა და იმავე ადგილს, ხოლო სიის ნუმერაცია გაგრძელდება თითოეული ადგილისთვის თანაბარქულიანი აპლიკანტების რაოდენობის გათვალისწინებით.
20. მართვის სისტემა, შერჩევის ეტაპის დასრულებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში უზრუნველყოფს:
  - ა) დაწესებულებისთვის აპლიკანტთა რეიტინგული სიების ხელმისაწვდომობას თითოეული პროგრამის მიხედვით, პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
  - ბ) აპლიკანტისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, რეიტინგში მისი ადგილის შესახებ, რეიტინგული ქულის გათვალისწინებით, ყველა არჩეული პროგრამის მიხედვით.

### **მუხლი 9. შერჩევა საბაზო და საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე**

1. საშუალო და საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტთა შეფასების მეთოდები და ეტაპები განისაზღვრება სასწავლო უნივერსიტეტის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
2. თითოეულ საშუალო და საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტთა შერჩევის თარიღ(ებ)ი განისაზღვრება სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით მინისტრის ბრძანებით დადგენილ ვადებში. სასწავლო უნივერსიტეტი აღნიშნულ ინფორმაციას ასახავს მართვის სისტემაში და ვებგვერდზე, შეფასების თარიღის დადგომამდე არაუგვიანეს 5 სამუშაო დღით ადრე.
3. სასწავლო უნივერსიტეტი შეფასების თარიღის დადგომამდე არანაკლებ 3 დღით ადრე აცნობებს აპლიკანტს, წერილობითი ფორმით.
4. გასაუბრებისას კომისიის თითოეული წევრი ინდივიდუალურად აფასებს აპლიკანტს, წინასწარ დადგენილი შეფასების კრიტერიუმების მიხედვით.
5. სასწავლო უნივერსიტეტი მინისტრის ბრძანებით დადგენილ აპლიკანტთა შერჩევის ვადებში მართვის სისტემაში ასახავს შეფასების შედეგებს იმ შემთხვევაში თუ პროგრამაზე განსაზღვრულია შერჩევის დამატებითი მეთოდი (შემოქმედებითი ტური ან/და სპეც. ტური ან/და შიდა ტესტირება და ა.შ) , ხოლო პრაქტიკული შემთხვევების ანალიზის შედეგებს სისტემაში ასახავს მართვის საინფორმაციო სისტემა. ამავე ვადაში სასწავლო უნივერსიტეტი მართვის სისტემაში ასახავს ინფორმაციას ჩარიცხვის უფლების მოპოვების შესახებ სსსმ აპლიკანტებისათვის .
6. მართვის სისტემა, რეიტინგულ სიას ადგენს, აპლიკანტის შეფასების შედეგების, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში საარსებო შემწეობის მიმღები პირის სტატუსისა და განათლების მიღწეული დონის გათვალისწინებით, რომელიც მტკიცდება რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
7. აპლიკანტის შეფასების შედეგი წარმოადგენს რეიტინგულ ქულას, გარდა ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.



8. თუ აპლიკანტი არის სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში საარსებო შემწეობის მიმღები პირი, მისი რეიტინგული ქულა განისაზღვრება შეფასების შედეგად მიღებული ქულის 1.1. კოეფიციენტზე გამრავლებით.

9. საბაზო და საშუალო პროფესიულ პროგრამაზე დგება ორი რეიტინგული სია განათლების მიღწეული დონის მიხედვით:

ა) იმ აპლიკანტთა რეიტინგული ქულის გათვალისწინებით, რომელთა განათლების მიღწეული დონეა ზოგადი განათლების საბაზო საფეხური/სრული ზოგადი განათლების საფეხური;

ბ) იმ აპლიკანტთა რეიტინგული ქულის გათვალისწინებით, რომელთა განათლების მიღწეული დონე აღემატება ზოგადი განათლების საბაზო საფეხურს/სრული ზოგადი განათლების საფეხურს.

10. თუ აპლიკანტთა რაოდენობა ნაკლებია პროგრამაზე მისაღები ადგილების რაოდენობაზე, რეიტინგული სია დგება ყველა იმ აპლიკანტის გათვალისწინებით (მიუხედავად განათლების მიღწეული დონისა), რომელთა რეიტინგული ქულა უტოლდება ან აღემატება პროგრამისთვის დადგენილ მინიმალური კომპეტენციის ზღვარს.

10. თანაბარი რეიტინგული ქულის მქონე აპლიკანტები რეიტინგულ სიაში დაიკავებენ ერთსა და იმავე ადგილს, ხოლო სიის ნუმერაცია გაგრძელდება თითოეული ადგილისთვის თანაბარქულიანი აპლიკანტების რაოდენობის გათვალისწინებით.

11. მართვის სისტემა, შერჩევის ეტაპის დასრულებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში, სარეგისტრაციო სისტემაში უზრუნველყოფს:

ა) სასწავლო უნივერსიტეტისთვის აპლიკანტთა რეიტინგული სიების ხელმისაწვდომობას თითოეული პროგრამის მიხედვით;

ბ) აპლიკანტისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, რეიტინგში მისი ადგილის შესახებ, რეიტინგული ქულის გათვალისწინებით, ყველა არჩეული პროგრამის მიხედვით.

### **მუხლი 10. აპლიკანტთა შერჩევა პროგრამაზე, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები**

1. აპლიკანტთა შერჩევა პროგრამაზე რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, შეფასება ხორციელდება ამ წესის მე-9 მუხლით განსაზღვრული პირობებით.

2. თითოეულ ინტეგრირებულ პროგრამაზე აპლიკანტთა შეფასების თარიღ(ებ)ი განისაზღვრება სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის ინდივიდუალური-სამართლებრივი აქრით/აქტებით, რომლითაც განსაზღვრულ თარიღ(ებ)ს ასახავს მართვის სისტემაში და ვებგვერდზე შეფასების თარიღის დადგომამდე არაუგვიანეს 5 სამუშაო დღით ადრე და გონივრულ ვადაში აცნობებს აპლიკანტს, წერილობითი ფორმით.

3. შეფასება არის დიფერენცირებული და მინიმალური კომპეტენციის ზღვარს თითოეული პროგრამის მიხედვით განსაზღვრავს სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი ინდივიდუალური-სამართლებრივი აქტით.

4. გასაუბრებისას კომისიის თითოეული წევრი ინდივიდუალურად აფასებს აპლიკანტს, წინასწარ დადგენილი შეფასების კრიტერიუმების მიხედვით.



5. სასწავლო უნივერსიტეტი მინისტრის ბრძანებით დადგენილ აპლიკანტთა შერჩევის ვადებში მართვის სისტემაში ასახავს შეფასების შედეგებს იმ შემთხვევაში თუ პროგრამაზე განსაზღვრულია შერჩევის დამატებითი მეთოდი (შემოქმედებითი ტური ან/და სპეც. ტური ან/და შიდა ტესტირება და ა.შ), ხოლო პრაქტიკული სამუშაო შემთხვევების ანალიზის“ მეთოდის დროს შერჩევის შედეგებს ასახავს მართვის საინფორმაციო სისტემა. ამავე ვადაში სასწავლო უნივერსიტეტი მართვის სისტემაში ასახავს ინფორმაციას ჩარიცხვის უფლების მოპოვების შესახებ სსსმ აპლიკანტებისათვის.

6. მართვის სისტემა ადგენს რეიტინგულ სიას, რომელიც მტკიცდება სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
7. პროგრამაზე რეიტინგული სია დგება მხოლოდ იმ აპლიკანტთა რეიტინგული ქულის გათვალისწინებით, რომელთა განათლების მიღწეული დონეა ზოგადი განათლების საბაზო საფეხური.
8. თანაბარი რეიტინგული ქულის მქონე აპლიკანტები რეიტინგულ სიაში დაიკავებენ ერთსა და იმავე ადგილს, ხოლო სიის ნუმერაცია გაგრძელდება თითოეული ადგილისთვის თანაბარქულიანი აპლიკანტების რაოდენობის გათვალისწინებით.
9. მართვის სისტემა, შერჩევის ეტაპის დასრულებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში, სარეგისტრაციო სისტემაში უზრუნველყოფს აპლიკანტთა რეიტინგული სიების ხელმისაწვდომობას თითოეული პროგრამის მიხედვით ამ წესის მე-7 მუხლით განსაზღვრული პროცედურის მიხედვით.

**მუხლი 11. შერჩევა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში**

1. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში (შემდგომში - რეალურ სამუშაო გარემოში განხორციელებული პროგრამა) აპლიკანტთა შერჩევა და შეფასება ხორციელდება სასწავლო უნივერსიტეტის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული წესით.
2. რეალურ სამუშაო გარემოში განხორციელებულ თითოეულ პროგრამაზე აპლიკანტთა შეფასების თარიღ(ებ)ი განისაზღვრება სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის ინდივიდუალური-სამართლებრივი აქტით/აქტებით, რომლითაც განსაზღვრულ თარიღ(ებ)ს ასახავს მართვის სისტემაში და ვებგვერდზე შეფასების თარიღის დადგომამდე არაუგვიანეს 5 სამუშაო დღით ადრე და გონივრულ ვადაში აცნობებს აპლიკანტს, წერილობითი ფორმით.
3. შესარჩევი და სააპელაციო კომისიების ფორმირების, მათი მუშაობისა და გადაწყვეტილების მიღების წესი ცალკე მტკიცდება სასწავლო უნივერსიტეტის უფლებამოსილი ორგანოს ინდივიდუალური-სამართლებრივი აქტით.



4. კომისია აუცილებლად ითვალისწინებს პროგრამის თანაგანმახორციელებელი და სხვა პარტნიორი ორგანიზაციის/ორგანიზაციების მონაწილეობას.
5. სასწავლო უნივერსიტეტი მინისტრის ბრძანებით დადგენილ აპლიკანტთა შერჩევის ვადებში მართვის სისტემაში ასახავს დამსაქმებელთან გასაუბრების შედეგებს, ხოლო იმ შემთხვევაში თუ პროგრამაზე განსაზღვრულია შერჩევის დამატებითი მეთოდი (შემოქმედებითი ტური ან/და სპეც. ტური ან/და შიდა ტესტირება და ა.შ) ასევე მიღებული შეფასების შედეგებს. ამავე ვადაში სასწავლო უნივერსიტეტი მართვის სისტემაში ასახავს ინფორმაციას ჩარიცხვის უფლების მოპოვების შესახებ სსსმ პირებისთვის.
6. აპლიკანტის შეფასების შედეგი წარმოადგენს რეიტინგულ ქულას.
7. სასწავლო უნივერსიტეტი რეიტინგულ სიას ადგენს აპლიკანტის შეფასების შედეგების გათვალისწინებით, ამტკიცებს რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით და ინფორმაციას ასახავს სარეგისტრაციო სისტემაში.
8. თანაბარი რეიტინგული ქულის მქონე აპლიკანტები რეიტინგულ სიაში დაიკავებენ ერთსა და იმავე ადგილს, ხოლო სიის ნუმერაცია გაგრძელდება თითოეული ადგილისთვის თანაბარქულიანი აპლიკანტების რაოდენობის გათვალისწინებით.
9. მართვის სისტემა, შერჩევის ეტაპის დასრულებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში, სარეგისტრაციო სისტემაში უზრუნველყოფს აპლიკანტთა რეიტინგული სიების ხელმისაწვდომობას თითოეული პროგრამის მიხედვით ამ წესის მე-5 მუხლით განსაზღვრული პროცედურის მიხედვით.
10. ამ მუხლის მოქმედება არ ვრცელდება ისეთ პროგრამებზე, რომელთა განხორციელების ერთადერთ შესაძლებლობად საგანმანათლებლო სტანდარტის შესაბამისად განსაზღვრულია სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტის მიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში. ამ შემთხვევაში, შერჩევა ხორციელდება ზსსუ-ში დადგენილი წესით.

## მუხლი 12. ტესტირება და აპლიკანტთა შეფასება

1. ტესტირებაში მონაწილეობს უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე რეგისტრირებული აპლიკანტი
2. უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების უფლების მოსაპოვებლად, აუცილებელია ტესტირების გავლა აკადემიური უნარებში , რომელიც შეიძლება დაწესდეს:
  - ა) წიგნიერებაში;
  - ბ) რაოდენობრივ წიგნიერებაში;
  - გ) საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში (ქიმიის კომპონენტი და/ან ფიზიკის კომპონენტი და/ან ბიოლოგიის კომპონენტი).
3. თუ სწავლის სფეროების კლასიფიკატორით გათვალისწინებული დეტალური სფეროსთვის განისაზღვრა ტესტის რამდენიმე ტიპი, აპლიკანტი ახარებს ამ ტესტის ყველა ტიპს.



4. ტესტირების კოორდინაციას და ტესტირების დაგეგმვისა და ჩატარების პროცესში საგამოცდო ცენტრების მონიტორინგს ახორციელებს სამინისტრო.
5. ტესტირების პროცესი (მათ შორის, ტესტირების მიმდინარეობასთან და ტესტირების ფარგლებში წარმოშობილი პრეტენზიების განხილვასთან დაკავშირებული საკითხები) რეგულირდება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული პროცედურის შესაბამისად
6. უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე დარეგისტრირებული აპლიკანტებისთვის (გარდა იმ აპლიკანტებისა, ვინც მინისტრის ბრძანებით გათავისუფლებულია შერჩევის ძირითადი მეთოდისაგან) შეფასებას ახორციელებს გამოცდების ეროვნული ცენტრი, ხოლო ყველა სხვა დანარჩენ პროგრამებზე დარეგისტრირებული აპლიკანტების შეფასებას -სასწავლო უნივერსიტეტი.
7. სასწავლო უნივერსიტეტი აპლიკანტთა შეფასებას ახორციელებს ერთ ან ორ ეტაპად - გასაუბრების/პრაქტიკული სამუშაო შემთხვევების ანალიზი და სხვა (ტესტირება/შემოქმედებითი ტური და ა.შ)
8. აპლიკანტთა შეფასება არის დიფერენცირებული, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებზე დარეგისტრირებულ აპლიკანტებისთვის მინიმალური კომპეტენციის ზღვარს ადგენს გამოცდების ეროვნული ცენტრი, ხოლო სხვა დანარჩენ შემთხვევაში განსაზღვრავს სასწავლო უნივერსიტეტი;
9. სასწავლო უნივერსიტეტი აპლიკანტების შესაფასებლად იყენებს მინიმალურ კომპეტენციის ზღვარს და გამსვლელ ქულას;
10. **მინიმალური კომპეტენციის ზღვარი** არის მინიმალურთან მაქსიმალურად მიახლოებული ქულა, როდესაც აპლიკანტი არ ფლობს იმ მინიმალურ კომპეტენციებს, რომელთა შესაფასებლად კონკრეტული მეთოდის გამოყენება არარელევანტურია. მინიმალური კომპეტენციების ზღვარს ქვემოთ არსებულ შეფასებები არ განიხილება იმ შემთხვევაშიც კი, თუკი მისაღები თავისუფალი ადგილები დარჩენილია;
11. **გამსვლელ ქულას** სასწავლო უნივერსიტეტი განსაზღვრავს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გამოიყენებს შერჩევის პირველ და მეორე ეტაპს აპლიკანტთა მაღალი მომართვიანობის პირობებში. ამ შემთხვევაში, გამსვლელი ქულა განსაზღვრავს აპლიკანტთა იმ რაოდენობას, რომელიც გადავა შერჩევის მეორე ეტაპზე. გამსვლელი ქულა განისაზღვრება მას შემდეგ, როდესაც დადგება პირველადი შერჩევის მეთოდში (მაგ. ტესტი) აპლიკანტთა შეფასების შედეგები.
12. მინიმალური კომპეტენციის ზღვარი განისაზღვრება რექტორის ინდივიდუალური სმართლებრივი აქტით. შერჩევის თითოეული მეთოდისთვის (შერჩევის პირველი ეტაპის შიდა ტესტირება, შიდა ტესტირება, მოტივაციური გასაუბრება, პრაქტიკული შემთხვევის ანალიზი, შემოქმედებითი ტური და ა.შ.)
13. სასწავლო უნივერსიტეტი ვალდებულია აპლიკანტები ჩარიცხოს პროგრამისათვის გამოცხადებული ადგილების რაოდენობისა და რეიტინგულ სიაში აპლიკანტის რიგითობის გათვალისწინებით, უმაღლესიდან უმდაბლესისკენ, აპლიკანტის მხრიდან გამოხატული ნების საფუძველზე.



### მუხლი 13. აპლიკანტთა შესარჩევი და სააპელაციო კომისიები

1. შეფასების თარიღამდე არანაკლებ 5 სამუშაო დღისა, აპლიკანტთა შერჩევის მიზნით რექტორის ბრძანებით მიერ იქმნება შესარჩევი და სააპელაციო კომისიები, რომელთა შემადგენლობაში სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენელთა გარდა შედიან პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენელი(ებ)ი.
2. შესარჩევი და სააპელაციო კომისიის შემადგენლობა განისაზღვრება რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, პროფესიული განათლების განვითარების სამსახურის უფროსის წარდგინების საფუძველზე.
3. შესარჩევი კომისიის წევრი ვალდებულია შერჩევის დაწყებამდე, 3 სამუშაო დღით ადრე წინასწარ განაცხადოს ყველა იმ გარემოების თაობაზე, რომელმაც შეიძლება მას ხელი შეუშალოს აპლიკანტის ობიექტურად შეფასებასა და მის მიმართ გადაწყვეტილების მიუკერძოებლად გამოტანაში (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისას შესარჩევი კომისიის წევრი ვალდებულია განაცხადოს თვითაცილება. აღნიშნული კომისიის წევრი ვერ მიიღებს მონაწილეობას აპლიკანტის შეფასებაში და აპლიკანტის მიმართ გადაწყვეტილების მიღებაში. იმ შემთხვევაში, თუ შესარჩევი კომისიის წევრი არ განაცხადებს ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული გარემოების არსებობის შესახებ, ხოლო აღნიშნული ცნობილი გახდება კომისიისათვის შერჩევის ეტაპის მიმდინარეობისას, კომისიის წევრის მიმართ განხორციელდება აცილების კანონმდებლობით განსაზღვრული პროცედურა და მის მიერ აპლიკანტის შეფასება არ იქნება გათვალისწინებული საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას.
5. შერჩევის პროცედურებსა და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების განხილვის მიზნით, აპლიკანტებს სააპელაციო კომისიისადმი მიმართვის უფლება აქვთ შერჩევის ეტაპის შედეგების გამოცხადებიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღისა.
6. პირი, რომელიც მონაწილეობდა შერჩევის რომელიმე ეტაპის ჩატარებაში, არ შეიძლება იყოს სააპელაციო კომისიის შემადგენლობაში.
7. შესარჩევი კომისია უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა მინიმუმ 3 პირი.
8. სააპელაციო კომისიაში შეიძლება შედიოდეს ადმინისტრაციის წარმომადგენლები, პროფესიული განათლების მასწავლებლები, დარგის სპეციალისტები, დარგის დამოუკიდებელი ექსპერტები, ან/და პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენელი.
9. სააპელაციო კომისია კომპლექტდება იმ პირებისგან, რომლებიც არ მონაწილეობდნენ შერჩევის პროცესში.
10. სასწავლო უნივერსიტეტი ვალდებულია 3 სამუშაო დღის ვადაში განიხილოს საჩივარი და მიღებული დასაბუთებული გადაწყვეტილების თაობაზე აცნობოს საჩივრის ავტორს.
11. სააპელაციო კომისია განიხილავს აპლიკანტის საჩივარს, იწვევს შერჩევის კომისიის წევრებს და ისმენს მათ არგუმენტირებულ პოზიციას აპლიკანტის შეფასებასთან დაკავშირებით და შემდგომ ახორციელებს გასაუბრებას აპლიკანტთან, რის შემდეგაც იღებს გადაწყვეტილებას შეფასების კომისიის მიერ დაწერილი ქულის ძალაში დატოვების ან/და შეცვლის შესახებ.



12. შერჩევის პროცედურის დარღვევის დადასტურების შემთხვევაში შეიძლება მიღებულ იქნას შემდეგი გადაწყვეტილება:
  - ა) აპლიკანტის მიერ შერჩევის პროცედურის დარღვევისას – მისი ნული ქულით შეფასების თაობაზე;
  - ბ) აპლიკანტის უფლებების დარღვევის დადასტურებისას – მის მიერ მიღებული შეფასების შეცვლის თაობაზე.
13. სააპელაციო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ერთი სამუშაო დღის ვადაში ეცნობება აპლიკანტს ტელეფონის ან/და ელექტრონული ფოსტის საშუალებით.
14. სააპელაციო კომისიის მუშაობის შედეგი აისახება ოქმში. ოქმს ხელს აწერს კომისიის წევრები.

#### **მუხლი 14. აპლიკანტის განსხვავებულ თარიღში შეფასების პროცედურა**

1. აპლიკანტის საპატიო მიზეზის არსებობის შემთხვევაში, რომელიც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტით, შესაძლებელია აპლიკანტის შეფასება განხორციელდეს განსხვავებულ დროს, არაუგვიანეს შეფასების ვადების დასრულებისა.
2. აპლიკანტი განცხადებით მიმართავს სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების განვითარების სამსახურს და წარადგენს ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ დოკუმენტ(ებ)ს;
3. აპლიკანტის განსხვავებულ დროს შეფასებაზე დაშვების შესახებ გამოიცემა სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის ინდივიდუალური-სამართლებრივი აქტი, რომელშიც განისაზღვრება შეფასების თარიღი, არაუგვიანეს შეფასების ვადების დასრულებისა.

#### **მუხლი 15. პროგრამაზე ჩარიცხვა**

1. აპლიკანტის ჩარიცხვა განხორციელდება პროგრამისათვის გამოცხადებული ადგილების რაოდენობისა და რეიტინგულ სიაში აპლიკანტის რიგითობის გათვალისწინებით, უმაღლესიდან უმდაბლესისკენ, აპლიკანტთან სასწავლო ხელშეკრულების გაფორმების საფუძველზე.
2. საბაზო პროფესიულ პროგრამაზე მისაღები ადგილების რაოდენობის:
  - ა) 70%-ის ფარგლებში, ჩარიცხვა ხორციელდება იმ აპლიკანტთა რეიტინგული ქულის გათვალისწინებით, რომელთა განათლების მიღწეული დონეა ზოგადი განათლების საბაზო საფეხური;
  - ბ) 30%-ის ფარგლებში, ჩარიცხვა ხორციელდება იმ აპლიკანტთა რეიტინგული ქულის გათვალისწინებით, რომელთა განათლების მიღწეული დონე აღემატება ზოგადი განათლების საბაზო საფეხურს.





3. საშუალო პროფესიულ და უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, პროგრამაზე გამოცხადებული ადგილების რაოდენობის:
- ა) 70%-ის ფარგლებში, აპლიკანტთა ჩარიცხვა ხორციელდება იმ აპლიკანტთა რეიტინგული ქულის გათვალისწინებით, რომელთა განათლების მიღწეული დონეა სრული ზოგადი განათლება;
  - ბ) პროგრამაზე გამოცხადებული ადგილების რაოდენობის 30%-ის ფარგლებში, რეიტინგული სია დგება იმ აპლიკანტთა რეიტინგული ქულის გათვალისწინებით, რომელთა განათლების მიღწეული დონეა პროფესიული ან/და უმაღლესი განათლება.
4. აპლიკანტებმა ჩარიცხვისათვის სასწავლო უნივერსიტეტში უნდა წარმოადგინონ დოკუმენტაცია თითოეულ პროგრამაზე გათვალისწინებული წინაპირობების შესაბამისად:
- ა) სრულწლოვანი აპლიკანტებისთვის:
    - საბაზო/სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ან/და განათლების დამადასტურებელი იმ დოკუმენტების უფლებამოსილი პირების/ორგანიზაციის მიერ დამოწმებული ასლი, რომლის დაძლევა შეუძლებელი იქნებოდა საბაზო/სრული ზოგადი განათლების გარეშე;
    - ფოტოსურათი 3X4 ზე 1 ცალი,
    - პირადობის მოწმობის /პასპორტის ასლი.
    - დევნილის / სოციალურად დაუცველის მოწმობის ასლი ( არსებობის შემთხვევაში)
    - პროფესიის სპეციფიკიდან გამომდინარე, პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნების დამადასტურებელი დოკუმენტი.
  - ბ) არასრულწლოვანი/ქმედუნარო/შეზღუდულქმედუნარიანი აპლიკანტებისთვის დამატებით წარმოსადგენი დოკუმენტაცია:
    - დაბადების მოწმობის ასლი.
    - მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის პირადობის მოწმობის /პასპორტის ასლი. კანონიერი წარმომადგენლობის შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი.
5. აპლიკანტი, რომელსაც განათლება მიღებული აქვს უცხოეთში/საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე, სხვა ჩამონათვალთან ერთად ვალდებულია სასწავლო უნივერსიტეტს წარმოუდგინოს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად გაცემული მიღებული განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტი/ატესტატი.
6. სასწავლო უნივერსიტეტსა და პროფესიულ სტუდენტს შორის ფორმდება სასწავლო ხელშეკრულება (არასრულწლოვანი/ქმედუნარო/შეზღუდულქმედუნარიანი პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში - პროფესიული სტუდენტის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის);
7. რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით მტკიცდება:
- ა) დოკუმენტების წარდგენის ფორმა;
  - ბ) დოკუმენტების წარდგენის ვადები;
  - გ) ჩარიცხვაზე უარის თქმის საფუძველი/საფუძველები;
  - დ) ხელშეკრულების გაფორმების პირობები და ვადები.



8. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული პროცედურების გავლისა და ვადის ამოწურვის შემდეგ აპლიკანტები პროფესიული განათლების განვითარების სამსახურის უფროსის წარდგინების საფუძველზე რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ირიცხებიან პროგრამაზე.
9. აპლიკანტს არ მოეთხოვება განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა, თუ აღნიშნული განათლების შესაბამისი საფეხურის დაძლევა, აპლიკანტის რეგისტრაციის მომენტში, დადასტურებულია მართვის სისტემის მიერ.
10. აპლიკანტი, რომელსაც სასწავლო უივერსიტეტში რეგისტრაციისას არჩეული აქვს რამდენიმე პროგრამა უფლებამოსილია ჩარიცხოს მხოლოდ ერთ პროგრამაზე.
11. რეიტინგულ სიაში, აპლიკანტის ადგილს იკავებს რეიტინგული სიის მიხედვით შემდეგი აპლიკანტი:
  - ა) ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი წესის საფუძველზე სასწავლო უნივერსიტეტის მიერ აპლიკანტის ჩარიცხვაზე უარის თქმის შემთხვევაში;
  - ბ) აპლიკანტის მიერ ჩარიცხვაზე უარის თქმის შემთხვევაში;
  - გ) აპლიკანტის სხვა პროგრამაზე ჩარიცხვის შემთხვევაში.
12. პროგრამაზე მისაღები ადგილების რაოდენობის ფარგლებში მიღწეული განათლების დონის მიხედვით გამოყოფილი ადგილების შეუვსებლობის შემთხვევაში, ეს ადგილები გამოიყენება მეორე რეიტინგულ სიაში მყოფ აპლიკანტთა ჩარიცხვისთვის.
13. თუ ორი ან ორზე მეტი აპლიკანტი რეიტინგულ სიაში მოხვდა თანაბარი რეიტინგული ქულით და მათი პროგრამაზე ჩარიცხვის შემთხვევაში ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა გადააჭარბებს ამ საგანმანათლებლო პროგრამაზე გამოცხადებულ ადგილების რაოდენობას, პროგრამაზე დაემატება მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ის რაოდენობა, რაც აუცილებელია ამ პუნქტით განსაზღვრული თანაბარქულიანი აპლიკანტების ჩასარიცხად.
14. თუ ამ მუხლის მე-10 პუნქტის საფუძველზე ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის გამოყოფილი ადგილებისთვის შესაბამის წელს განსაზღვრული მისაღები პროფესიული სტუდენტების რაოდენობის ფარგლებს, დამატებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა მოაკლდება მოცემულ პროგრამაზე შემდეგ წელს მისაღებ ადგილებს, ხოლო ასეთის არსებობის შემთხვევაში - სწავლების შესაბამის ფორმაზე/სასწავლო გეგმაზე არსებულ თავისუფალ ადგილებს.
15. სასწავლო უნივერსიტეტი კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოფს პროგრამაზე ჩარიცხულ პირთა შესახებ ინფორმაციის ასახვას პროფესიული მართვის სისტემაში ამ წესის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე განსაზღვრული სწავლის დაწყების თარიღის დადგომამდე.
16. შერჩევა შესაძლებელია განახორციელდეს ასევე რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენებზე. სასწავლო უნივერსიტეტი ვალდებულია ამ გზით ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისთვის პროგრამაზე სწავლება დაიწყოს ქართული ენის მოდულით. ქართული ენის მოდულის დაუძლეველობის შემთხვევაში, პირს უწყდება პროფესიული სტუდენტის სტატუსი. ქართული ენის მოდულის დაძლევის შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტი



სარგებლობს გარდამავალი (მომლოდინე) პროფესიული სტუდენტის სტატუსით და უფლებამოსილია:

ა) სწავლა განაგრძოს იმავე პროგრამაზე, რომელზეც განხორციელდა მისი ჩარიცხვა. ამ შემთხვევაში, მას პროფესიული სტუდენტის სტატუსი გაუაქტიურდება პირადი განცხადების საფუძველზე, შემდგომი მიღების ფარგლებში ამ პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების მიერ სწავლის დაწყებისთანავე;

ბ) ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში, ისარგებლოს შიდა მობილობით კანონდებლობით დადგენილი წესით

### მუხლი 16. თავისუფალი ადგილების შევსება (არსებობის შემთხვევაში)

1. პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის დასრულების შემდეგ, დარჩენილი თავისუფალი ადგილების შევსების მიზნით, ინფორმაციას შესავსები ადგილების შესახებ, მინისტრის მიერ განსაზღვრულ ვადებში ცენტრი ასახავს სარეგისტრაციო სისტემაში.
2. შესავსები ადგილების რაოდენობის განსაზღვრის მიზნით, სასწავლო უნივერსიტეტი იყენებს ჩარიცხვის დასრულების შემდეგ, პროგრამაზე მისაღები ადგილებიდან დარჩენილ თავისუფალ ადგილებს.
3. სასწავლო უნივერსიტეტი უფლებამოსილია თავისუფალი ადგილების შევსების მიზნით, საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, ინტეგრირებულ პროგრამაზე მისაღები ადგილების ფარგლებში დარჩენილი თავისუფალი ადგილების რაოდენობა გამოიყენოს მეორე სასწავლო გეგმით განხორციელებულ პროგრამაზე აპლიკანტთა ჩარიცხვის მიზნით, ავტორიზაციის საბჭოს მიერ ამ პროგრამაზე შესაბამისი სასწავლო გეგმისათვის განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის ფარგლებში.
4. მართვის სისტემა უზრუნველყოფს დარჩენილი თავისუფალი ადგილების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას იმ აპლიკანტებისათვის, რომლებმაც ვერ მოიპოვეს პროფესიული სტუდენტის სტატუსი.
5. აპლიკანტი, რომელიც ვერ ჩაირიცხა მის მიერ არჩეულ პროგრამაზე, უფლებამოსილია მინისტრის მიერ განსაზღვრულ ვადაში აირჩიოს არაუმეტეს 3 პროგრამა.
6. პროგრამაზე თავისუფალი ადგილების შევსების მიზნით, აპლიკანტთა შერჩევა, რეიტინგული სიების ფორმირება, შედეგების ასახვა და ჩარიცხვა ხორციელდება ამ წესის შესაბამისად და ამ მუხლით დადგენილი თავისებურებების გათვალისწინებით.
7. თავისუფალი ადგილების შევსების ფარგლებში, პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვაზე არ ვრცელდება ამ წესის 13-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები.
8. უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის არჩევის უფლება აქვს იმ აპლიკანტს, რომელსაც ჩარიცხვის წელს ჩაბარებული აქვს შესაბამისი პროგრამისთვის დადგენილი ტესტი.



9. უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის აპლიკანტის რეიტინგული ქულა დგინდება ჩარიცხვის წლის ტესტირების შედეგის საფუძველზე. თუ ცენტრი დამატებით არ დაადგენს შერჩევის დამატებით ეტაპებს.

10. დარჩენილი თავისუფალი ადგილების შევსებისთვის განსახორციელებელი ღონისძიებები უნდა დასრულდეს სწავლის დაწყების თარიღის დადგომამდე.

### **მუხლი 17 . პროგრამაზე ხუთზე ნაკლები რაოდენობის პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის პირობები**

1. პროგრამაზე ჯგუფი არ გაიხსნება, თუ მასზე ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა ხუთზე ნაკლებია.
2. პროფესიულ სტუდენტს, რომელიც ჩარიცხა იმ მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელზეც ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა ხუთზე ნაკლებია, უფლება აქვს:
  - ა) სწავლის გაგრძელების მიზნით ისარგებლოს მობილობის უფლებით და გადავიდეს სხვა დაწესებულებაში იმ პროფესიულ სპეციალიზაციაზე, რომელზეც ჩარიცხა იგი მობილობის განხორციელებამდე;
  - ბ) ისარგებლოს შიდა მობილობის უფლებით მონათესავე სხვა პროგრამაზე;
  - გ) შეიჩეროს პროფესიული სტუდენტის სტატუსი და შეინარჩუნოს მის მიერ მოპოვებული სამართლებრივი მდგომარეობა.
3. ამ მუხლის მეორე პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტს სტატუსი აღუდგება პირადი განცხადების საფუძველზე.

### **მუხლი 18. უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ტესტირების გავლის გარეშე ჩარიცხვა**

1. უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ტესტირების გავლის გარეშე ჩარიცხვის უფლება შესაძლოა მიენიჭოთ:
  - ა) უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულის სტატუსის მქონე უცხო ქვეყნის მოქალაქეებს;
  - ბ) საქართველოს მოქალაქეებს, რომლებმაც ზოგადი განათლების საშუალო საფეხური დაასრულეს უცხო ქვეყნის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში, უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის ან ჩარიცხვის წინა წელს და რომელთა განათლება აღიარებულ იქნა კანონმდებლობით დადგენილი წესით;



გ) საქართველოს მოქალაქეებს და „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 2013 მუხლით გათვალისწინებულ პირებს, რომლებმაც ზოგადი განათლების საშუალო საფეხური დაასრულეს „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში, უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის ან ჩარიცხვის წინა წელს და რომელთა სრული ზოგადი განათლება აღიარებულ იქნა სამინისტროს მიერ დადგენილი წესით;

დ) თავშესაფრის მაძიებელი, ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირებს.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ პირებზე ვრცელდება რეგისტრაციისთვის ამ წესით განსაზღვრული პირობები, ხოლო შერჩევის წესი და პირობები განისაზღვრება რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
3. გასაუბრებისას კომისიის თითოეული წევრი ინდივიდუალურად აფასებს აპლიკანტს, წინასწარ დადგენილი შეფასების კრიტერიუმების მიხედვით.
4. შეფასების კრიტერიუმები ყოველი მიღებისთვის მტკიცდება რექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით, კონკრეტული პროგრამისთვის ინდივიდუალურად.
5. ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად შერჩეული აპლიკანტების შესახებ ინფორმაციას სასწავლო უნივერსიტეტი ასახავს მართვის სისტემაში ამ წესის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შერჩევის პერიოდში.
6. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული წესით შერჩეული აპლიკანტების ჩარიცხვის შესახებ რექტორი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და ინფორმაციას ასახავს სარეგისტრაციო სისტემაში, კანონმდებლობით დადგენილი წესით.
7. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული აპლიკანტების ჩარიცხვა სრულდება ამ წესის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შერჩევის პერიოდის შემდეგ.
8. 2021 წლის ტესტირებიდან იმ პირების ჩარიცხვას და პირობებს, რომელიც დარეგისტრირდა უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე და ტესტირებისთვის დადგენილ ვადაში ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების პირობებში ვერ ახერხებს ტესტირებაზე გამოცხადებას, არეგულირებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 02 ივლისის „ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ N42/ნ ბრძანების მუხლი 28. (გარდამავალი დებულებები )



## მუხლი 19. უცხოენოვან პროგრამაზე ჩარიცხვა

1. უცხოენოვან პროგრამაზე მიღების გამოცხადება, აპლიკანტთა რეგისტრაცია, შერჩევა და პირთა ჩარიცხვა ხორციელდება რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, პროფესიული განათლების განვითარების სამსახურის უფროსის წარდგინების საფუძველზე.
2. სასწავლო უნივერსიტეტის მიერ უცხოენოვან პროგრამაზე ჩარიცხვისათვის დადგენილი პირობები და პროცედურები უნდა უზრუნველყოფდეს პროგრამაზე დაშვების წინაპირობების შემოწმებას, ასევე პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე განათლება ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას.
3. სასწავლო უნივერსიტეტი უფლებამოსილია უცხოენოვან პროგრამაზე შერჩევა განახორციელოს პროგრამის განხორციელების ენაზე.
4. უცხოენოვანი პროგრამა არ უნდა ითვალისწინებდეს პროგრამის განხორციელების ენის, ასევე იმ მოდულების სწავლებას, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები.
5. უცხოენოვან პროგრამაზე მიღება ცხადდება რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, რომლითაც განისაზღვრება:
  - ა) მისაღები პროგრამების ჩამონათვალი და ამ მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე დადგენილი წესის შესაბამისად, ჩარიცხვის ეტაპები და ვადები;
  - ბ) პროგრამაზე მისაღები ადგილების რაოდენობა;
  - გ) პროგრამის განხორციელების ენის ფლობის დონე და შესაბამის დონეზე ენის ფლობის დადასტურების პირობები;
  - დ) პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით დამატებით დადგენილი პირობები (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
6. ამ მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემიდან ორი სამუშაო დღის ვადაში, სასწავლო უნივერსიტეტი კანონმდებლობით დადგენილი წესით ინფორმაციას ასახავს მართვის სისტემაში და ვებგვერდზე.
7. სასწავლო უნივერსიტეტი პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის შესახებ ინფორმაციას კანონმდებლობით დადგენილი წესით ასახავს სარეგისტრაციო სისტემაში.

## მუხლი 20. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროგრამაზე ჩარიცხვა

1. აპლიკანტი, რომელსაც სამინისტროს მულტიდისციპლინური გუნდის მიერ დადასტურებული აქვს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (შემდგომში „სსსმ“) პირის სტატუსი და დადგენილი წესით გავლილი აქვს



პროფესიული ორიენტაცია, უფლება აქვს პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით სარეგისტრაციო პორტალზე გააკეთოს შესაბამისი არჩევანი რეგისტრაციისათვის მინისტრის ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული აქტით განსაზღვრულ ვადაში.

2. სასწავლო უნივერსიტეტი განიხილავს მულტიდისციპლინური გუნდის მიერ მომზადებულ რეკომენდაციებს განსაზღვრულ ვადებში და შესაბამისი დოკუმენტების წარმოდგენის შემდეგ იღებს გადაწყვეტილებას სსსმ აპლიკანტის პროფესიულ პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ.
3. თუ პროგრამაზე დარეგისტრირებული აპლიკანტების რაოდენობა აღემატება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის სსსმ აპლიკანტებისთვის გათვალისწინებულ ადგილების რაოდენობას ჩარიცხვის დროს უპირატესობა ენიჭება სსსმ აპლიკანტს, რომელიც პირველად მოიპოვეს პროფესიული სტუდენტის სტატუსს.
4. სსსმ აპლიკანტების ჩარიცხვისას სასწავლო უნივერსიტეტი ითვალისწინებს დამატებით კრიტერიუმებს/პირობებს. თუ პროგრამაზე დარეგისტრირებული აპლიკანტების რაოდენობა აღემატება პროგრამისთვის სსსმ აპლიკანტებისთვის გათვალისწინებული ადგილების რაოდენობას, გარდა ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა, უპირატესობა ენიჭება შემდეგი კატეგორიის აპლიკანტს:
  - ა) არ აქვს მოსწავლის, პროფესიული სტუდენტის ან სტუდენტის სტატუსი;
  - ბ) წინა წელს ვერ მოიპოვა პროფესიული სტუდენტის სტატუსი, სსსმ პირებისთვის გათვალისწინებული არასაკმარისი ადგილების რაოდენობის გამო;
  - გ) სახელმწიფო ზრუნვაში მყოფი პირი;
  - დ) სოციალურად დაუცველი სტატუსის მქონე;
  - ე) დევნილის სტატუსის მქონე;
  - ვ) მრავალშვილიანი ოჯახის წარმომადგენელი.

5. სსსმ აპლიკანტთა პროგრამებზე ჩარიცხვის მიზნით, რექტორი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და აფორმებს ხელშეკრულებას სსსმ აპლიკანტთან ან/და მის კანონიერ წარმომადგენელთან.

6. სასწავლო უნივერსიტეტი ჩარიცხული სსსმ სტუდენტების შესახებ მონაცემებს ასახავს სარეგისტრაციო სისტემაში და უზრუნველყოფს სსსმ სტუდენტის ინფორმირებას სწავლის დაწყებამდე.

6. სსსმ აპლიკანტთა ჩარიცხვის დასრულების შემდეგ, დარჩენილი თავისუფალი ადგილების შევსების მიზნით, სასწავლო უნივერსიტეტი შესავსები ადგილების შესახებ, მინისტრის მიერ განსაზღვრულ ვადებში ინფორმაციას ასახავს სარეგისტრაციო სისტემაში.
7. შესავსები ადგილების რაოდენობის განსაზღვრის მიზნით, სასწავლო უნივერსიტეტი იყენებს ჩარიცხვის დასრულების შემდეგ, პროგრამაზე მისაღები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტებისათვის განსაზღვრული ადგილებიდან დარჩენილ თავისუფალ ადგილებს.
8. მართვის სისტემა უზრუნველყოფს დარჩენილი თავისუფალი ადგილების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას იმ აპლიკანტებისათვის, რომლებმაც ვერ მოიპოვეს პროფესიული სტუდენტის სტატუსი.



9. აპლიკანტი უფლებამოსილია მინისტრის მიერ განსაზღვრულ ვადაში აირჩიოს პროფესიული პროგრამა.
10. თავისუფალი ადგილების შევსების ფარგლებში, პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვაზე არ ვრცელდება ამ წესის 13-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები.
11. დარჩენილი თავისუფალი ადგილების შევსებისთვის განსახორციელებელი ღონისძიებები უნდა დასრულდეს ამ წესის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შერჩევის პერიოდში

## **მუხლი 21. პროფესიული სტუდენტის სწავლის საფასური**

სწავლის საფასურის მაქსიმალური ოდენობა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამის პროფესიულ სპეციალიზაციებზე განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილების შესაბამისად ვაუჩერული დაფინანსების მქონე პროფესიული სტუდენტებისთვის;

### **თავი III-**

## **პროფესიული სტუდენტის უფლებები, ვალდებულებები, აკრძალვები და წახალისება**

### **მუხლი 22. პროფესიული სტუდენტის უფლება/ვალდებულება/აკრძალვა/წახალისება**

1. პროფესიული სტუდენტის უფლება/ვალდებულება/აკრძალვა/წახალისება განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის სამართლებრივი აქტებით, პროფესიულ სტუდენტთან გაფორმებული ხელშეკრულებით, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით, სასწავლო უნივერსიტეტის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტებით.

#### **2. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს:**

- ა) მიიღოს ხარისხიანი განათლება;
- ბ) მიიღოს თავისი პროფილის განსაზღვრის, სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მიღწევების გასაუმჯობესებლად აუცილებელი ინფორმაცია, კონსულტაცია და დახმარება.
- გ) ჩაერთოს დამატებით/არაფორმალურ აქტივობებში მათი ინიციატივების მხარდასაჭერად;
- დ) ისარგებლოს სასწავლო უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით;
- ე) მიიღოს სრული ინფორმაცია სასწავლო უნივერსიტეტში არსებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ;
- ვ) ისარგებლოს სტუდენტური სერვისებით (კარიერის ცენტრი, უწყვეტი განათლების ცენტრი, ექსტენციის ცენტრი, უცხო ენის შესწავლის ცენტრი)





- ე) მოითხოვოს სასწავლო კურსების მოდულები;
- ვ) მოითხოვოს ცოდნის სამართლიანი შეფასება.
- ზ) საჭიროების შემთხვევაში მოითხოვოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;
- თ) დაცული იყოს არასათანადო მოპყრობის, უყურადღებობისა და შეურაცხყოფისაგან;
- ი) გამოთქვას საკუთარი აზრი და მოითხოვოს მისი პატივისცემა;
- კ) გამოთქვას პროტესტი და წერილობით გაასაჩივროს სასწავლო უნივერსიტეტის რექტორთან სასწავლო უნივერსიტეტში დასაქმებულის ან/და სხვა პროფესიული სტუდენტის არამართლზომიერი ქმედება;
- ლ) მოითხოვოს შეფასების მტკიცებულებების გაცნობა და გადასინჯვა.
- მ) სათანადო საფუძვლის არსებობისას ისარგებლოს სტატუსის შეჩერების, აღდგენის, მობილობის/შიდა მობილობის, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის უფლებებით.
- ნ) მოითხოვოს მონაწილეობის მიღება საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებაში.
- ო) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პროფესიულ სტუდენტს განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში უფლება აქვს მოითხოვოს სწავლის შედეგის მიღწევის განმეორებითი განმსაზღვრელი შეფასება ერთხელ;
- პ) დუალური პროგრამების სტუდენტებისთვის განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება ერთჯერ.
- რ) მოითხოვოს გონივრულ ვადაში ადმინისტრაციული მხარდაჭერა (მაგ. ცნობის გაცემა არაუმეტეს 5 სამუშაო დღისა)

### **3. პროფესიული სტუდენტი ვალდებულია:**

- ა) იმოქმედოს სასწავლო უნივერსიტეტის შინაგანაწესითა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმებით, ეთიკის კოდექსითა და სხვა ნორმატიული აქტებით;
- ბ) პატივი სცეს საკუთარი კოლეგების, მასწავლებლებისა და სასწავლო უნივერსიტეტის თანამშრომელთა ღირსებას.
- გ) დადოს სასწავლო უნივერსიტეტთან ხელშეკრულება, დაიცვას და შეასრულოს სასწავლო უნივერსიტეტთან დადებული ხელშეკრულების პირობები.
- დ) გაუფთხილდეს და დაიცვას სასწავლო უნივერსიტეტის მფლობელობაში არსებული მატერიალურ-ტექნიკური საშუალებები; მატერიალური ქონება გამოიყენოს კეთილსინდისიერად, ანაზღაუროს მის მიერ სასწავლო უნივერსიტეტისთვის მიყენებული ქონებრივი ზიანი;
- ე) არ დაიგვიანოს და არ გააცდინოს სასწავლო პროცესი, ასევე, არ დატოვოს აუდიტორია მეცადინეობის მიმდინარეობის დროს (გარდა განსაკუთრებული საჭიროებებისა, სათანადო ნებართვით);
- ვ) ობიექტური მიზეზების არსებობის შემთხვევაში მოახდინოს პროფესიული განათლების განვითარების სამსახურის ინფორმირება მეცადინეობების გაცდენის თაობაზე, რის საფუძველზეც პროფესიული განათლების განვითარების სამსახურის მიერ მიღებული იქნება გადაწყვეტილება გაცდენების საპატიოდ ჩათვლა/არ ჩათვლის თაობაზე.



ზ) გაუფრთხილდეს სასწავლო უნივერსიტეტის პრესტიჟს, ზუსტად დაიცვან სასწავლო უნივერსიტეტის ტერიტორიაზე ქცევის წესები, აგრეთვე ეთიკის ნორმები პერსონალთან და სხვა სტუდენტებთან/პროფესიულ სტუდენტებთან ურთიერთობაში.

თ) არ დაანაგვიანოს სასწავლო უნივერსიტეტის შენობა და ტერიტორია, დაიცვას სახანძრო უსაფრთხოების, შრომის უსაფრთხოებისა და ჰიგიენის წესები;

ი) საცხოვრებელი ადგილის ან ტელეფონის ნომრის გამოცვლის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს პროფესიული განათლების განვითარების სამსახურს.

კ) დაემორჩილოს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მოთხოვნებს და სასწავლო უნივერსიტეტში დასაქმებული უფლებამოსილი პირის შესაბამის მითითებებს;

ლ) დაესწროს გამოცდებს/განმსაზღვრელ შეფასებებს. გამოცდის საპატიო მიზეზით გაცდენის შემთხვევაში არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა წერილობით მიმართოს პროფესიული განათლების განვითარების სამსახურს და წარმოადგინოს შესაბამისი დოკუმენტი (არსებობის შემთხვევაში).

#### 4. პროფესიულ სტუდენტს ეკრძალება:

ა) ალკოჰოლური სასმელების, თამბაქოსა და საქართველოს კანონმდებლობით უნებართვოდ აკრძალული ნივთიერების სასწავლო უნივერსიტეტის ტერიტორიაზე შეტანა და რაიმე ფორმით გამოყენება;

ბ) სასწავლო უნივერსიტეტის ინფორმაციულ სივრცეში ყველა ტიპის კომპიუტერული თამაშები, არასანქცირებული ჩართვების განხორციელება, პროგრამული უზრუნველყოფის ინსტალაცია, რომელიც არ არის შეთანხმებული სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან.

გ) სასწავლო პროცესის ხელის შეშლა- ხმაური, საუბარი; თუ სტუდენტი დაარღვევს წესრიგს ან კანონს და ამით ხელს შეუშლის სასწავლო პროცესს, პროფესიული განათლების მასწავლებელი უფლებამოსილია მოთხოვოს პროფესიულ სტუდენტს აუდიტორიის დატოვება და პროფესიული სტუდენტის პასუხისმგებლობის საკითხს მაშინვე აყენებს ადმინისტრაციის წინაშე.

დ) მეცადინეობაზე მობილური ტელეფონის ან სხვა საკომუნიკაციო საშუალების გამოყენება;

ე) შეფასების მიღების მცდელობა მუქარით, ზემოქმედებით, თაღლითური ან სხვა დაუშვებელი მეთოდებით;

ვ) მეცადინეობების ჯგუფური მიტოვება;

ზ) მეცადინეობებზე სისტემატური დაგვიანება;

თ) სასწავლო უნივერსიტეტის მატერიალური ტექნიკური ბაზის (მათ შორის ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის ) დაზიანება/დაკარგვა;

ზემოაღნიშნულ აკრძალვებზე რეაგირების ფორმები შესაძლოა იყოს:

1. სიტყვიერი გაფრთხილება;
2. წერილობითი გაფრთხილება;
3. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა.

#### მუხლი 23. პროფესიული სტუდენტის წახალისება

ა) სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი პროფესიული განათლების განვითარების სამსახურის წარდგინების საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას წარჩინებული, სანიმუშო, აქტიური პროფესიული სტუდენტების წახალისების შესახებ ინდივიდუალური-სამართლებრივი აქტით;



- ბ) წახალისების ფორმით შეიძლება გამოყენებულ იქნას:
- მადლობის გამოცხადება;
  - პროფესიული სტუდენტების მიერ სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტით/ნამუშევრით დასაჩუქრება;
  - ერთჯერადი ფულადი წახალისება;
  - სტიპენდია;
  - ექსკურსია;

#### თავი IV-

**პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების, შეწყვეტის, მობილობის, მიღებული განათლების აღიარებისა და საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფა**

#### **მუხლი 24. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება/ შეწყვეტა/ აღდგენა**

1. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება/ შეწყვეტა/აღდგენა რეგულირდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის სამართლებრივი აქტებით, პროფესიულ სტუდენტთან გაფორმებული ხელშეკრულებით, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით, სასწავლო უნივერსიტეტის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტებით.

2. სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის სამართლებრივი აქტი **სტუდენტის სტატუსის შეჩერება/ შეწყვეტა/ აღდგენის შესახებ** პროფესიული სტუდენტების სტატუსი რეესტრის წარმოებაზე პასუხისმგებელი პირის მიერ აისახება შესაბამის რეესტრში კანონმდებლობის შესაბამისად.

#### **მუხლი 25. სტატუსის შეჩერება**

1. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება შესაძლებელია არაუმეტეს 3 წლის ვადით.
2. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია:
  - ა) პირადი განცხადება (არასრულწლოვანი/ქმედუუნარო/შეზღუდულქმედუუნარიანი პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში განცხადებას წარმოადგენს მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი, რომელთანაც გაფორმებულია ხელშეკრულება).
  - ბ) სამხედრო სავალდებულო სამსახურში/რეზერვში გაწვევა;
  - გ) პროფესიული სტუდენტის მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრა, გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანამდე;
  - ე) ობიექტური გარემოების არსებობა, რომელიც პროფესიულ სტუდენტს ხელს უშლის სწავლის გაგრძელებაში (ხანგძლივი ავადმყოფობა, ორსულობა და ახალშობილის მოვლა, უცხოეთის საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გაგრძელება, და სხვა.)
  - ვ) მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.



4. პირი, რომელსაც შეჩერებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსი, არ განიხილება სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის ფარგლებში. სტუდენტთა რაოდენობის აღრიცხვის მიზნით, სასწავლო უნივერსიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (შემდგომში – სისტემა) პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების რეგისტრაცია.
5. მოკლევადიანი პროგრამის/კურსის მსმენელისათვის სტატუსის შეჩერება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ზუსტად არის იდენტიფიცირებული კონკრეტულ პერიოდში ანალოგიური ტრენინგ-კურსის განხორციელების და მსმენელისათვის სტატუსის აღდგენის შესაძლებლობა.

## მუხლი 26. სტატუსის შეწყვეტა

1. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია:
  - ა) პირადი განცხადება (არასრულწლოვანი/ქმედუუნარო/შეზღუდულქმედუანირიანი პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში განცხადებას წარმოადგენს მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი, რომელთანაც გაფორმებულია ხელშეკრულება).
  - ბ) სტუდენტის სტატუსთან შეუფერებელი ქმედების განხორციელება (სასწავლო უნივერსიტეტის „მინაგანაწესითა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმებითა“ და „ეთიკის კოდექსით“ გათვალისწინებული შემთხვევები);
  - გ) სისხლის სამართლის პასუხისმგებაში მიცემა მძიმე, ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლიდან;
  - დ) სტუდენტის სტატუსის შეჩერებიდან სამწლიანი ვადის ამოწურვა;
  - ე) მობილობის განხორციელება სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში;
  - ვ) დაწესებულებისათვის ისეთი ყალბი დოკუმენტის ან არასწორი ინფორმაციის წარდგენა ან ისეთი ინფორმაციის წარუდგენლობა, რაც გავლენას იქონიებდა პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის შესახებ დადებითი გადაწყვეტილების მიღებაზე;
  - ზ) არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტის მიერ „ქართული ენის“ მოდულის/მოდულების სწავლის შედეგების დაუძლეველობა.
- თ) არასაკმარისი მიზეზით ზედიზედ ორი თვის განმავლობაში სასწავლო პროცესში სრული არმონაწილეობა.
- ი) პროგრამით გათვალისწინებული მინიმუმ ერთი სწავლის შედეგის მიღწევის შეუძლებლობა, თუ მოდული მოდულზე დაშვების წინაპირობაა ან/და მან ვერ/არ დაადასტურა სწავლის შედეგი განმეორებით შეფასებაზე.
- კ) დუალური პროგრამების შემთხვევაში წინამდებარე წესის მე-15 მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე შექმნილი კომისიის მიერ, დამსაქმებლის ინტერესებიდან გამომდინარე, სტატუსშეჩერებული პირის სტატუსის აღდგენაზე უარის თქმა.



კ) მოკლევადიანი ტრენინგ/კურსის მსმენელებისთვის სასწავლო პროცესის დაწყებიდან ზედიზედ 2 კვირის განმავლობაში სრული არმონაწილეობა.

მ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები;

2. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში მისი ხელახლა მოპოვება შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

## **მუხლი 27. სტატუსის აღდგენა**

1. პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა შესაძლებელია სტატუსის შეჩერებიდან 3 წლის ვადაში.
2. პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის საფუძველია სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტის (არასრულწლოვანის/ქმედუნარო/ შეზღუდულ ქმედუნარიანი სსსმ პირის შემთხვევაში მისი კანონიერი წარმომადგენლის) პირადი განცხადება.
3. პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის შემთხვევაში პროფესიული სტუდენტი სწავლას აგრძელებს პროგრამის იმ ეტაპიდან, როდესაც მას შეუჩერდა პროფესიული სტუდენტის სტატუსი.
4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (მოდულური) პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა ხორციელდება უნივერსიტეტის ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფუნქციონირებისა და დადასტურებული მოდულების შედეგების გათვალისწინებით;
5. სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (დეალური) პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა ხორციელდება უნივერსიტეტის ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფუნქციონირების, სეზონურობის, სპეციფიკისა და კერძო სექტორის ინტერესების გათვალისწინებით. შესაძლებელია სტატუსის აღდგენასთან დაკავშირებით დამსაქმებლის ზეპირი ან/და წერილობითი მოთხოვნით შეიქმნას კომისია.
6. სტატუსაღდგენილ პროფესიულ სტუდენტთან (არასრულწლოვანის/ქმედუნარო/ შეზღუდულ ქმედუნარიანი სსსმ პირის შემთხვევაში მის წარმომადგენელთან) სტატუსის აღდგენის დღეს ფორმდება ახალი სასწავლო ხელშეკრულება.
7. პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა დასაშვებია კონკრეტულ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ერთი მიღებისთვის განსაზღვრულ ოდენობაზე გადაჭარბებით. ამ შემთხვევაში პროფესიული სტუდენტების საერთო რაოდენობის ზევით ჩარიცხული პირების რაოდენობა გამოაკლდება შესაბამის პროგრამაზე მომდევნო მიღებისათვის სასწავლო უნივერსიტეტის მიერ დადგენილ სტუდენტთა მისაღები ადგილების რაოდენობას.



## მუხლი 28. პროფესიული სტუდენტის მობილობა და მიღებული განათლების აღიარება;

1. გარე მობილობისა და შიდა მობილობის (შემდგომში – მობილობა) უფლება აქვს პირს, რომელმაც პროფესიული სტუდენტის სტატუსი მოიპოვა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და რომელიც მობილობის განხორციელების მომენტისთვის არის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული სტუდენტი;
2. მობილობის უფლება ასევე აქვს პირს, რომელსაც მობილობის განხორციელების მომენტისთვის შეჩერებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსი;
3. პროფესიული სტუდენტის მობილობა ხორციელდება შესაბამისი პროგრამისათვის განსაზღვრულ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის ფარგლებში;
4. მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს“ (დანართი №1) ერთი და იმავე დონის შესაბამისი კვალიფიკაციის მიმნიჭებელი პროგრამის ფარგლებში.
5. მობილობის უფლება პროფესიულ სტუდენტს წარმოეშობა მხოლოდ იმ პროგრამაზე, რომელზე დაშვების წინაპირობასაც ის აკმაყოფილებს.
6. თუ პროფესიული სტუდენტისათვის სტატუსის აღდგენის მომენტისათვის სასწავლო უნივერსიტეტში არ ახორციელებს ის პროგრამა, რომელზეც პროფესიულ სტუდენტს შეუჩერდა სტატუსი, პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა დასაშვებია ამავე მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული პირობების დაცვით, სხვა პროგრამაზე მობილობის განხორციელების გზით;
7. გარე მობილობით ჩარიცხვის უფლების მოპოვების მიზნით პროფესიული სტუდენტი ვალდებულია სასწავლო უნივერსიტეტში წარმოადგინოს განცხადება (არასრულწლოვანის/ქმედუნარო/ შეზღუდულ ქმედუნარიანი სსსმ პირის შემთხვევაში მისი კანონიერი წარმომადგენლის) მობილობის შესახებ, აგრეთვე წარადგინოს პროფესიული სტუდენტის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტაცია და ინფორმაცია გავლილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (მათ შორის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული პროგრამის) შესახებ. მოთხოვნილი დოკუმენტაციის წარმოუდგენლობა გახდება მობილობის წესით პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვაზე უარის თქმის საფუძველი. განცხადებაში უნდა აღინიშნოს იმ პროგრამის სახელწოდება, რომელზეც პირს სურს გადასვლა.
8. პროფესიული სტუდენტთა მობილობის საკითხებზე საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
9. პროფესიული სტუდენტის გარე მობილობის/შიდა მობილობის შემთხვევაში ვაუჩერული დაფინანსების გადატანის წესი განისაზღვრება საქართველოს მთავრობის 2013 წლის 19 სექტემბრის N244 დადგენილებით “პროფესიული განათლების დაფინანსების წესისა და პირობების განსაზღვრისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის საფასურის მაქსიმალური ოდენობის დამტკიცების თაობაზე“.



10. სასწავლო უნივერსიტეტი უფლებამოსილია სისტემიდან დამატებით მოიპოვოს ინფორმაცია პროფესიული სტუდენტის სტატუსის, არსებობის შემთხვევაში სტატუსის შეჩერების საფუძვლების და მის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შესახებ.
11. სასწავლო უნივერსიტეტი უფლებამოსილია უარი განაცხადოს პირის მობილობით ჩარიცხვაზე, თუ:
  - ა) დაწესებულებას არ აქვს ვაკანტური ადგილები პროგრამისათვის განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის ფარგლებში; <http://www.matsne.gov.ge> 43006000022022017818
  - ბ) დაწესებულება ვერ უზრუნველყოფს მობილობის მსურველი პირის შემდგომ განათლებას მიმღები პროგრამის განხორციელების სპეციფიკის გათვალისწინებით;
  - გ) მობილობის მსურველი ვერ აკმაყოფილებს დაწესებულების მიერ პროგრამაზე ჩარიცხვისათვის დადგენილ წინაპირობებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
12. მობილობის მსურველი პირის განცხადების განხილვა და გადაწყვეტილების მიღება პირის ჩარიცხვის ან ჩარიცხვაზე უარის თქმის შესახებ ხდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ ვადებში.
13. აღიარებას ექვემდებარება საგანმანათლებლო დაწესებულების იმ პროგრამის ფარგლებში მოპოვებული კრედიტები, რომელზეც ჩარიცხვა და სწავლება განხორციელდა კანონდებლობით დადგენილი რეგულაციების შესაბამისად.
14. სასწავლო უნივერსიტეტი ადგენს მობილობის მსურველი პირის მიერ სხვა საგანმანათლებლო დაწესებულების პროფესიული პროგრამის ფარგლებში მიღწეული შედეგების თავსებადობას სასწავლო უნივერსიტეტში არსებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებთან და იღებს გადაწყვეტილებას შესაბამისი კრედიტების აღიარების შესახებ.
15. გარე მობილობის შემთხვევაში კრედიტების აღიარების მიზნით სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებიდან მოთხოვნილი იქნება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და სტუდენტის მიერ მიღწეული შედეგები. მოდულური პროგრამის შემთხვევაში, ინფორმაცია ათვისებული მოდულების კრედიტების ან მოდულის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების თაობაზე;
16. მობილობის მსურველი პირის მიერ გავლილი მოდულებისა და მათი სწავლების შედეგების შინაარსობრივი კვლევის შედეგად დგინდება იდენტურობა მის მიერ გავლილ და სასწავლო უნივერსიტეტის პროგრამით გათვალისწინებულ შედეგებს შორის და ხორციელდება კრედიტების აღიარება.
17. თუ მობილობის მსურველი პირის მიერ გავლილი სასწავლო კომპონენტის კრედიტები მეტია ვიდრე სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტისა, კრედიტები ცნობილ იქნება სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით
18. თუ მობილობის მსურველი პირის მიერ გავლილი სასწავლო კომპონენტის კრედიტები ნაკლებია ვიდრე სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტისა, ცნობილ იქნება კრედიტები ათვისებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით. გამონაკლისებს ინდივიდუალურად განსაზღვრავს სასწავლო უნივერსიტეტი;



19. თუ პროგრამის უკვე ათვისებული კომპონენტის სახელწოდება მცირედით განსხვავდება სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტისაგან, თუმცა შინაარსობრივად, ასათვისებელი კვალიფიკაციების მიხედვით იდენტური ან თითქმის იდენტურია, ის შეიძლება ცნობილ იქნეს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ.
20. თუკი კი მობილობა განხორციელდა ისეთ პერიოდში როცა პროგრამის ფარგლებში დასრულებულია სწავლება ცალკეულ სასწავლო კურსებზე/მოდულებზე, ხოლო მობილობის მსურველ პირს აღნიშნული სასწავლო კურსი/მოდული მისი დაწესებულების პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე არ აქვს ბოლომდე შესწავლილი, სასწავლო უნივერსიტეტი იღებს გადაწყვეტილებას პროფესიული სტუდენტისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების შესახებ.
21. პროფესიული სტუდენტის მიერ მოპოვებული კრედიტების აღიარება ფორმდება სასწავლო უნივერსიტეტის უფლებამოსილი პირის დასაბუთებული გადაწყვეტილებით, რომელშიც მიეთითება მობილობის მსურველი პროფესიული სტუდენტის მიერ გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა მიმღები, ხოლო შიდა მობილობის შემთხვევაში – სასწავლო უნივერსიტეტის სხვა პროგრამასთან, ასევე აღიარებული სწავლის შედეგები და კრედიტების რაოდენობა.
22. მობილობა ვერ განხორციელდება სასწავლო უნივერსიტეტის მიმდინარე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამიდან დუალურ პროგრამაზე, ამ პროგრამაზე ჩარიცხვის წესის სპეციფიკიდან გამომდინარე;
23. საჭიროების შემთხვევაში მიმღები სასწავლო უნივერსიტეტი ვალდებულია პროფესიული სტუდენტის ინტერესების გათვალისწინებით შეადგინოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა.
24. სისტემის მონაცემების საფუძველზე გარე მობილობის განხორციელების შემთხვევაში სასწავლო უნივერსიტეტი გამოსცემს სამართლებრივ აქტს პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე და ინფორმაციას კანონმდებლობით დადგენილი წესით ასახავს სისტემაში.

**მუხლი 29. საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის პროფესიული სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფა.**

სასწავლო უნივერსიტეტი უფლებამოსილია პროფესიულ სტუდენტს შესთავაზოს შიდა/გარე მობილობა თუ:

- ა) გაუქმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- ბ) სასწავლო უნივერსიტეტი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

სასწავლო უნივერსიტეტი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტთან შეთანხმების გზით უზრუნველყოფს მის შემდგომ განათლებას კანონმდებლობით დადგენილი წესით;





- ა) დაასრულებინებს სწავლას იმავე პროფესიულ პროგრამაზე ;
- ბ) გადაიყვანს ამავე სასწავლო უნივერსიტეტში სხვა ან მომიჯნავე პროგრამაზე;
- გ) უზრუნველყოფს გარე მობილობას იმ ალტერნატიულ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში, რომელთანაც გაფორმებული აქვს მემორანდუმი ურთიერთთანამშრომლობის შესახებ.

## თავი V- სასწავლო პროცესი

### მუხლი 30 . სწავლის ხანგრძლივობა

- 1.სწავლების სისტემა განისაზღვრება საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობისა და ყოველდღიური და ყოველკვირეული დატვირთვის სასურველი მოცულობის შესაბამისად.
- 2.სასწავლო უნივერსიტეტი უფლებამოსილია განსაზღვროს კონკრეტული პროგრამის სასწავლო ციკლის დაწყების თარიღი, ასევე პროგრამის განხორციელების პროცესში სასწავლო პროცესის დროებითი ხასიათის შეჩერების (არდადეგების) პერიოდი.
- 3.სწავლების ხანგრძლივობა შესაძლებელია შეიცვალოს ობიექტური გარემოებების საფუძველზე სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის ინდივიდუალური-სამართლებრივი აქტით.

### მუხლი 31. სასწავლო პროცესის უზრუნველყოფა

1. სწავლება ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო გეგმის საფუძველზე შედგენილი სასწავლო ცხრილების შესაბამისად.
2. პროფესიულ სტუდენტთა სწავლება შესაძლებელია განხორციელდეს სხვადასხვა ცვლაში ან შეჭრილი გრაფიკით.
3. სასწავლო ცხრილი სწავლის დაწყებისთანავე განთავსდება დაინტერესებულ პირთათვის ხელმისაწვდომ ადგილზე, ეს შესაძლებელია იყოს შენობაში გამოყოფილი ადგილი ან/და პროფესიული სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომი სპეციალური პლატფორმა.
4. სასწავლო ცხრილის ცვლილება ხორციელდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების (მოდულური/დუალური) სასწავლო გეგმის შესაბამისად და საჭიროებისამებრ.
5. სასწავლო უნივერსიტეტში სასწავლო პროცესი მიმდინარეობს კვირაში 5-6 დღე. აღნიშნული არ ეხება დუალურ პროგრამაზე ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტს, რომელიც საწარმოში შესაძლოა მუშაობდეს განსხვავებული გრაფიკით, შრომის კანონთა მოთხოვნების გათვალისწინებით;
6. მეცადინეობის ხანგრძლივობა შეადგენს ერთ ასტრონომიულ საათს (აკადემიური საათი - 50 წუთი, შესვენება 10 წუთი).



7. პროფესიულ სტუდენტთა დასწრებისა აღრიცხვისა და შეფასების მიზნით სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედებს პროფესიული განათლების მასწავლებლის პორტფოლიო მატერიალური სახით.

8. პროფესიული სტუდენტები ისვენებენ საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსით“ გათვალისწინებულ უქმე, დასვენების დღეებში და სასწავლო უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრულ (არსებობის შემთხვევაში) შუალედებში.

9. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს სასწავლო უნივერსიტეტის ორ იურიდიულ მისამართებზე (ზუგდიდი, ჯანაშიას ქ. №14; სენაკი, მშვიდობის ქ. №192) და პრაქტიკის ობიექტებზე.

10. პრაქტიკის ობიექტებზე საწარმოო პრაქტიკის სასწავლო პროცესი ხორციელდება სასწავლო უნივერსიტეტის საწარმოო პრაქტიკის განხორციელების წესის შესაბამისად.

### **მუხლი 32. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების/შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (სსსმ/შშმ) პროფესიულ სტუდენტთა მომსახურების უზრუნველყოფა**

1. სასწავლო უნივერსიტეტი ქმნის პირობებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტთათვის განათლების მისაღებად და მათი სრულფასოვანი ინტეგრაციისათვის საზოგადოებაში.

2. სასწავლო უნივერსიტეტი უზრუნველყოფს გადაადგილების სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტის შენობაში თავისუფალ გადაადგილებას. სასწავლო უნივერსიტეტში შემოსვლა შესაძლებელია პანდუსით. გადაადგილების უნარშეზღუდულ პირებს თავისუფლად შეუძლიათ მივიდნენ აუდიოტორიებში. ხელმისაწვდომია ყველა სახის სერვისი (სველი წერტილით სარგებლობა, ბიბლიოთეკით, კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობა და სხვ.), რაც საჭიროა მათთვის შესაბამისი განათლების მისაღებად.

3. ზოგიერთ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტების დარეგისტრირებისას საჭიროების შემთხვევაში სასწავლო უნივერსიტეტი მართავს კონსულტაციებს პროფესიულ სტუდენტთან/კანონიერ წარმომადგენელთან და პრაქტიკის ობიექტთან, სასწავლო პროგრამის სრულფასოვნად ათვისების შესაძლებლობის არსებობისა და პირობების უზრუნველყოფის მიზნით.

4. სასწავლო უნივერსიტეტი მომსახურების გაუმჯობესების მიზნით საჭიროების შემთხვევაში ადგენს ამ წესისგან განსხვავებულ წესებს, რომლებიც შეესაბამება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას და აუმჯობესებს მომსახურების პროცედურებსა და ფორმებს.

### **მუხლი 33. პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა)**

კრედიტის მისაღებად პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა მოიცავს:

ა) ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების (შემდგომში მოდულური პროგრამების) პროფესიული სტუდენტებისთვის-კრედიტების განაწილების, სასწავლო საქმიანობის (დატვირთვის) და მიღწევების შეფასების წესი განისაზღვრება შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით ან/და მოდულით.



ბ) ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი დუალური მიდგომით გასახორციელებელი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების (შემდგომში დუალური პროგრამები) პროფესიული სტუდენტებისთვის- კრედიტების გადანაწილება ხდება მოდულებით გათვალისწინებული შედეგების მიხედვით და მიღწევების შეფასების წესი განისაზღვრება შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით ან/და მოდულით.

### მუხლი 34. შეფასებისა და კრედიტების სისტემა სასწავლო უნივერსიტეტში

1. ძირითადი ცნებები:

ა) „კრედიტი“ – ერთეული, რომელიც გამოხატავს ცალკეული სასწავლო კურსით/მოდულით გათვალისწინებული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების ასათვისებლად პროფესიული სტუდენტის მიერ შესასრულებელი სამუშაოს მოცულობას, გამოხატულს დროის ერთეულში – საათებში.

პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა შესაძლოა (დატვირთვა) მოიცავდეს:

- ❖ სამუშაო ჯგუფში მუშაობას, ლექციებზე, პრაქტიკულ სამუშაოებზე დასწრებას;
- ❖ დამოუკიდებელ მეცადინეობას;
- ❖ სასწავლო და საწარმოო პრაქტიკას;
- ❖ გამოცდების მომზადება–ჩაბარებას
- ❖ პრაქტიკის ანგარიშის დაცვას.
- ❖ მოდულებით გათვალისწინებული მისაღწევი შედეგების დადასტურებას;

ბ) „მოდული“ – შინაარსობრივად ერთმანეთთან დაკავშირებული კურსების ერთობლიობაა.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში კრედიტების განაწილების, პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობის (დატვირთვის) და პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების წესი განისაზღვრება შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით ან/და მოდულით“.

### მუხლი 35. კრედიტების დათვლა და მინიჭება

1. პროფესიული კვალიფიკაციის მისაღებად სტუდენტმა უნდა დააგროვოს :

ა) ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული (მოდულური) პროგრამების შემთხვევაში ყველა ზოგადი, პროფესიული სავალდებულო და არსებობის შემთხვევაში არჩევითი პროფესიული მოდულების კრედიტები, სადაც ერთი კრედიტი ასახავს პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობას 25 ასტრონომიული საათის განმავლობაში.

ბ) ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული (დუალური) პროგრამების შემთხვევაში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში კრედიტი გამოხატავს სწავლის შედეგის ხვედრით წონას საერთო კვალიფიკაციის ფარგლებში (მნიშვნელობა, სირთულე, სიხშირე). კრედიტი ენიჭება სწავლის შედეგს და სწავლის შედეგების კრედიტების ჯამი წარმოადგენს მოდულის კრედიტს.



## მუხლი 36. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პროფესიული სტუდენტების მიღწევების შეფასება

1. შეფასება ეფუძნება შემდეგ პრინციპებს: ა) ვალიდურობას; ბ) სანდოობას; გ) გამჭვირვალობას; დ) სამართლიანობას; ე) ობიექტურობას.

**1.1. ვალიდურობა არის შეფასების სიზუსტისა და შესაბამისობის საზომი.** შეფასება ვალიდურია, როდესაც:

ა) პროფესიული განათლების მასწავლებელი შეფასების მიზნის შესაბამისად გეგმავს შეფასების პროცესს; შეფასების ინსტრუმენტები შერჩეულია შეფასების მიზნიდან გამომდინარე (მაგ. პრაქტიკული უნარების შესაფასებლად გამოყენებულია დაკვირვება და პრაქტიკული კომპონენტის შეფასების სხვა შესაბამისი შეფასების ინსტრუმენტები).

ბ) პროფესიული განათლების მასწავლებელი პროფესიულ სტუდენტს აძლევს შესაძლებლობას შესაბამისი მტკიცებულებების საფუძველზე წარმოაჩინოს კონკრეტული კვალიფიკაციისთვის აუცილებელი ცოდნა და უნარები.

გ) საშუალებას აძლევს პროფესიული განათლების მასწავლებელს, მიღებულ იქნას სანდო და სამართლიანი გადაწყვეტილება ყველა პროფესიულ სტუდენტთან მიმართებაში.

**1.2. სანდოა შეფასება თუ:**

ა) შეფასების შედეგები ერთი და იგივეა, მიუხედავად იმისა, თუ ვინ და როდის აფასებს პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგებს;

ბ) გამოიყენება ვალიდური შეფასების მექანიზმები;

გ) ეფუძნება შეფასების მკაფიოდ განსაზღვრულ კრიტერიუმებს;

დ) ის უცვლელია განსაზღვრული დროის განმავლობაში.

**1.3. ობიექტურობა, სამართლიანობა და გამჭვირვალობა.**

ა) ობიექტური და სამართლიანი შეფასება უნდა იყოს გამჭვირვალე. მასში ნათლად უნდა იყოს განსაზღვრული კონკრეტული კრიტერიუმები, რომელთა მიხედვითაც, მაქსიმალურად ობიექტურად და სამართლიანად შეფასდება ნებისმიერი პროფესიული სტუდენტის ესა თუ ის სწავლის შედეგი. სასურველია, რომ შეფასების კრიტერიუმები წინასწარ იყოს ცნობილი პროფესიული სტუდენტისათვის.

ბ) მიუხედავად იმისა, შეფასება ხორციელდება წერიითი/ზეპირი გამოკითხვის, პრაქტიკული დავალების, ტესტისა თუ სხვა გამოკითხვის მეთოდით, პრინციპი უნდა იყოს ერთგვაროვანი.

გ) სასურველია პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალური შესაძლებლობებისა და საჭიროებების გათვალისწინებით შეირჩეს შეფასების შესაბამისი ინსტრუმენტი და სწავლის შედეგის დადასტურებისათვის საჭირო გარემო

დ) შეფასების ინსტრუმენტი უნდა იყოს ადვილად გასაგები და პროცესში ჩართულ ყველა პირს, მათ შორის, პროფესიულ სტუდენტს ერთმნიშვნელოვნად ესმოდეს მისი შინაარსი. თუმცა, სიმარტივე უნდა გამოირიცხავდეს მტკიცებულებებიდან რომელიმეს უგულვებელყოფას.



3. სასწავლო პროცესის მიმდინარეობასას პროფესიული განათლების მასწავლებელი აწარმოებს პორტფოლიოს, რომელშიც მოთავსებულია მოდული, კალენდარული გეგმა, შეფასების ინსტრუმენტები, სასწავლო მასალა და სტუდენტთა განმავითარებელი შეფასებები.
3. წინაპირობის მქონე მოდულის წინსწრები მოდულის ვერდადასტურების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტი **განმსაზღვრელი განმეორებითი შეფასებისთვის** სარგებლობს ეტაპებს შორის არსებული შუალედით ე.წ. განმეორებითი შეფასების კვირით, მოდულის განმახორციელებელთან /პროფესიული განათლების მასწავლებელთან შეთანხმებით.
4. წინაპირობის არმქონე მოდულების განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტს შეუძლია სწავლის შედეგების მიღწევა (განმეორებითი შეფასება) დაადასტუროს განმეორებითი შეფასების კვირაში (ეტაპებს შორის არსებული 1 კვირიანი შუალედი) მოდულის განმახორციელებელთან /პროფესიული განათლების მასწავლებელთან შეთანხმებით ან პროგრამის დასრულებამდე 1-ჯერ.
  - 4.1. თუ პროფესიული სტუდენტი არ ისარგებლებს ე.წ. განმეორებითი შეფასების კვირით მაშინ ის პროგრამის დასრულებამდე მოდულის განმეორებითი განმსაზღვრელი შეფასების მოთხოვნით განცხადებით მიმართავს პროფესიული განათლების განვითარების სამსახურს;
  - 4.2. პროფესიული განათლების განვითარების სამსახურის უფროსი პროფესიული სტუდენტის განცხადების საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების სპეციფიკის გათვალისწინებით განცხადების მიღებიდან **5 სამუშაო** დღის ვადაში მოამზადებს წინადადებას განმეორებითი შეფასების ვადების, შეფასებისთვის მატერიალური და ადამიანური რესურსის საჭიროების თაობაზე და სამსახურებრივი ბარათით მიმართავს რექტორს.
  - 4.3. რექტორი პროფესიული განათლების განვითარების სამსახურის უფროსის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე გამოსცემს სამართლებრივ აქტს პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების განმეორებით შეფასებაზე დაშვების, შესაბამისი ვადებისა და სხვა საჭიროებების განსაზღვრის თაობაზე.
5. ძირითადი და დამატებითი ვადები რეგულირდება რექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით.
6. წინსწრები მოდულის სწავლის შედეგების არ/ვერ დადასტურება ითვლება პროფესიული სტუდენტის მიერ მოდულის კრედიტების აუთვისებლობად და სტუდენტს აღარ აქვს მომდევნო მოდულზე სწავლის, შესაბამისად, პროგრამაზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა;
7. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში სტუდენტების შესაფასებლად გამოიყენება კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასება, რაც გულისხმობს შესაფასებელი პირის მიერ ცოდნის ფლობისა და უნარების გამოყენების შესაძლებლობის (კომპეტენციის) შეფასებას, მოდულით წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით;



8. მოდულის შესაბამისი კრედიტის მისაღებად დადებითად ფასდება მოდულით მისაღწევი ყველა სწავლის შედეგი;
9. სწავლის შედეგი მიღწეულად ითვლება, თუ შესაფასებელი პირი დადებითად შეფასდა შეფასების ყველა კრიტერიუმის მიხედვით;
10. შეფასება არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი.
11. განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.
12. განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:
  - ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
  - ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.
13. განმსაზღვრელი შეფასება შესაძლებელია ჩატარდეს, როგორც ყოველი სწავლის შედეგის ბოლოს ასევე, შესაძლებელია რამდენიმე სწავლის შედეგის ერთდროულად შეფასება.
14. სწავლის ყველა შედეგის მიღწევა დასტურდება შესაბამისი მტკიცებულებებით. მტკიცებულებები განისაზღვრება შეფასების მიმართულებებითა და ინსტრუმენტებით.
15. შეფასების მიმართულებები და შეფასების ინსტრუმენტების ალტერნატიული ჩამონათვალი მოცემულია შესაბამის მოდულში, რომელიც შერჩეულია მოდულების ადაპტირების დროს და დამტკიცებულია სასწავლო უნივერსიტეტის უფლებამოსილი ორგანოს მიერ.
16. პროფესიულ სტუდენტს ინფორმაცია შეფასების თაობაზე მიეწოდება შეფასებამდე მინიმუმ სამი სამუშაო დღით ადრე ზეპირი შეტყობინების ან/და თვალსაჩინო ადგილას განთავსებული განცხადების ან/და სოციალური ქსელის მეშვეობით ან/და სხვა ალტერნატიული წყაროთი.
17. შეფასების პროცესი ტარდება შესაბამის გარემოში, წინასწარ განსაზღვრულ დროში, ვალიდური შეფასების ინსტრუმენტის გამოყენებით.
18. კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასების სისტემის ვალიდურობის, სანდოობის, სამართლიანობის, სიმართივის, გამჭვირვალობისა და მოქნილობის უზრუნველსაყოფად პროფესიული განათლების განვითარების სამსახური აქტიურად თანამშრომლობს სასწავლო უნივერსიტეტის სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებთან.
19. შეფასების ინსტრუმენტისა და სწავლის შედეგების უწყისების სტრუქტურა/ფორმა პროფესიული განათლების სამსახურის წარდგინების საფუძველზე მტკიცდება სასწავლო უნივერსიტეტის უფლებამოსილი მართვის ორგანოს მიერ.
20. შეფასების ინსტრუმენტის შექმნის ვალდებულება აქვს მოდულის განმახორციელებელ პირს (პირებს);
21. მოდულის განმახორციელებელი პირის მიერ შემუშავებული შეფასების ინსტრუმენტი გადის ვალიდაციას, სადაც დგინდება/მოწმდება მისი შესაბამისობა მოდულით განსაზღვრულ შედეგების კრიტერიუმებთან, მტკიცებულებებსა და შეფასების მიმართულებებთან.
22. ვალიდაციის პროცედურაში მონაწილეობის ვალდებულება აქვს ვალიდაციის ჯგუფს. ვალიდაციის ჯგუფში შედიან: შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელი, დარგის



- სპეციალისტ(ებ)ი/კომპეტენციის მქონე პირები/მოდულის განმახორციელებლები, სასწავლო პროცესის მართვაზე პასუხისმგებელი პირი/პირები..
23. შეფასების პროცესამდე მინიმუმ 10 (ათი) სამუშაო დღით ადრე პროფესიული განათლების მასწავლებელი/მოდულის განმახორციელებელი ვალიდაციისთვის შესაბამის პირებს უგზავნის/წარუდგენს შემუშავებულ შეფასების ინსტრუმენტს,
  24. ვალიდაციის პროცესს კოორდინირებას უწევენ სასწავლო პროცესის მართვაზე პასუხისმგებელი პირები;
  25. ხარვეზის დადგენისათვის ვადა განისაზღვრება 2 (ორი) დღით.
  26. ხარვეზის არსებობის შემთხვევაში შეფასების ინსტრუმენტი შესაბამისი რეკომენდაციით/შენიშვნებით/მითითებებით უბრუნდება პროფესიული განათლების მასწავლებელს/მოდულის განმახორციელებელს, რომელიც ვალდებულია 3 (სამი) დღის ვადაში წარმოადგინოს შესწორებული ვერსია.
27. პროგრამის ხელმძღვანელს/პროფესიული განათლების მასწავლებლებს ვალიდაციის ან/და ვერიფიკაციის პროცედურაში მონაწილეობის ვალდებულება ეკისრება შრომითი ხელშეკრულებით.
28. პროფესიული სტუდენტის შეფასებამდე ვალიდაციისას მიმდინარეობს კომუნიკაცია ზეპირი/ელექტრონული ფორმით.
29. შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაცია მოდულის შედეგებთან და კრიტერიუმებთან დასტურდება პროგრამის ხელმძღვანელის ან/და დარგის სპეციალისტის ხელისმოწერით სპეციფიკის გათვალისწინებით და შეთანხმებულია სასწავლო პროცესის მართვაზე პასუხისმგებელ პირთან.
30. შესრულების მტკიცებულება წარმოადგენს პროფესიული სტუდენტის (შესაფასებელი პირის) მიერ სწავლის შედეგის მიღწევის, მატერიალური ან/და ციფრული სახით, დადასტურებას.
31. ზეპირი გამოკითხვისა და პროცესზე დაკვირვების დროს მტკიცებულების მეტი ვალიდურობისთვის წარმოდგენილია დამკვირვებლის მიერ ხელმოწერილი შეფასების ფურცლები (ჩეკლისტები), რომელშიც საჭიროების შემთხვევაში აისახება კომენტარიც. შესაძლებელია (არა აუცილებელი პირობა) მტკიცებულებებს თან ახლდეს ფოტო ან/და ვიდეო მასალები. შესაძლებელია (არა აუცილებელი) ტესტირებას და პროდუქტის შეფასებასაც დაესწროს სხვა პირი (დამკვირვებელი), რომელიც დადასტურდება ხელისმოწერით.
32. პროფესიული განათლების მასწავლებელი პროფესიული სტუდენტისთვის ინდივიდუალურად ახდენს მოდულის შეფასების შედეგების შესახებ ინფორმირებას განმსაზღვრელი შეფასებიდან მაქსიმუმ 3 სამუშაო დღის ვადაში. ინფორმირებისთვის პროფესიული განათლების მასწავლებელი იყენებს ელ.ფოსტას, მესენჯერს, sms-სს, სასწავლო პლატფორმას და სხვა.
33. მოდულის დასრულებამდე მტკიცებულებების შეგროვებაზე პასუხისმგებელია მოდულის განმახორციელებელი პირი, ხოლო კონტროლზე -პროგრამის ხელმძღვანელი;
34. მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელი პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად მტკიცებულებების აღრიცხვის მიზნით მტკიცებულებებს აბარებს სასწავლო პროცესის მართვაზე პასუხისმგებელ პირს , რომელზეც დგება მიღება-ჩაბარების დოკუმენტი;



35. მტკიცებულებები დაცულია და ინახება მოდულის შესაბამისი უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით, ხოლო შემდგომ ნადგურდება სასწავლო უნივერსიტეტში შესაბამისი წესით.

36. მტკიცებულებებიდან საუკეთესო შესაძლებელია გადაეცეს უნივერსიტეტის არქივს ან სურვილისამებრ პროფესიულ სტუდენტს;

37. პროფესიული სტუდენტის მიერ მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შესახებ უწყისები დაცულია და ინახება პროფესიული სტუდენტისთვის კვალიფიკაციის მინიჭებამდე პროფესიული განათლების განვითარების სამსახურში, ხოლო კვალიფიკაციის მინიჭებიდან- უნივერსიტეტის არქივში მუდმივად.

38. დუალური პროგრამის შემთხვევაში:

ა) დუალური პროგრამის შემთხვევაში, სასწავლო უნივერსიტეტსა, სასწავლო საწარმოსა და პროფესიულ სტუდენტს შორის დადებული ხელშეკრულების ფარგლებში, პროფესიული სტუდენტი მუშაობს საწარმოში, აწარმოებს პროფესიული სტუდენტის ჩანაწერების ჟურნალს, რომელსაც ამოწმებს ინსტრუქტორი და უდასტურებს ხელისმოწერით;

ბ) პროგრამის განხორციელების შუა ეტაპზე დგება შუალედური შეფასება, სასწავლო საწარმოში პროფესიული სტუდენტების მიერ სწავლის შედეგების მიღწევის გაანალიზებისა და პროგრამის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.

გ) სასწავლო პროცესის განხორციელება და პროფესიული სტუდენტების მიღწევების შეფასება დამატებით რეგულირდება „სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების დუალური მიდგომით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების წესი“-ს შესაბამისად.

დ) სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე (დუალური) სწავლის შედეგების გაყოფა ხდება სასწავლო უნივერსიტეტსა და საწარმოს შორის. შენარჩუნებულია სწავლის შედეგის მისაღწევად საათების განაწილების სქემა, თუმცა მხოლოდ სასწავლებლის ფარგლებში მისაღწევი სწავლის შედეგებისათვის. საწარმოში მიღწეული სწავლის შედეგისათვის პირს მიენიჭება სწავლის შედეგისათვის განსაზღვრული კრედიტი, მიუხედავად ამ სწავლის შედეგის მისაღწევად დახარჯული დროისა.

39. „შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დამლევის გარეშე.

40. მე-4 და მე-5 საფეხურის/დონის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისთვის „მოდულების, ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის ბრძანება №152/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით.“

38. მე-3 საფეხურის/დონის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისთვის „მოდულის, ქართული ენა A2 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო





პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის ბრძანება №152/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულით.“

### **მუხლი 37. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება;**

1. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ინსტრუმენტია, რომლის მეშვეობითაც საჭიროების შემთხვევაში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტისთვის სწავლის პროცესი მასზე მორგებულად იმართება კონკრეტული მოდულისა თუ სასწავლო კურსის ფარგლებში.
2. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა დგება როცა პროფესიულ სტუდენტს:
  - ა) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება აქვს და რეგულარულად საჭიროებს განსხვავებულ მიდგომებს სწავლებისას და შეფასებისას.
  - ბ) არ აღენიშნება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება, თუმცა გარკვეული მიზეზების გამო (მობილობით გადმოსული, სტატუს ალდგენილი, სხვა ობიექტური გარემოება), გარკვეული დროით საჭიროებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტული სასწავლო გეგმიდან გადახვევას/სპეციალურ სასწავლო პროგრამას. ამ შემთხვევაში:
3. პროფესიული სტუდენტი განცხადებით მიმართავს რექტორს ისგ-ს საჭიროების თაობაზე თანდართულ დოკუმენტებთან ერთად (მაგ.: ცნობა სამსახურიდან, საავადმყოფოდან და ა.შ.);
4. რექტორი განცხადებას თანდართულ დოკუმენტებთან ერთად განსახილველად უგზავნის პროფესიული განათლების განვითარების სამსახურს;
5. სამსახური განცხადების მიღებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში ახორციელებს ზეპირ კომუნიკაციას პროფესიულ სტუდენტთან ობიექტური ფაქტობრივი გარემოებების დასაზუსტებლად;
6. ფაქტობრივი გარემოებებისა და პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო გეგმის საფუძველზე, განხორციელების ვადების გათვალისწინებით, სამსახური 2 სამუშაო დღის ვადაში ადგენს ისგ-ს შემუშავების შესაძლებლობას ან მოთხოვნაზე არგუმენტირებული უარის თქმის საჭიროებას შესაბამისი რეკომენდაციით (მაგ.:სტატუსის შეჩერება) .
7. ისგ-ს შემუშავების შესაძლებლობის შემთხვევაში სამსახური 3 სამუშაო დღის ვადაში პროფესიული პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის კოორდინატორთან და შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელთან თანამშრომლობით ადგენს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, რომელიც საბოლოო ფორმით დასამტკიცებლად წარედგინება რექტორს, რომელიც გამოსცემს შესაბამის სამართლებრივ აქტს.
8. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა იქმნება პროფესიული მოდულის/პროგრამის საფუძველზე და წარმოადგენს მის დაზუსტებას კონკრეტული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისთვის. შესაბამისად, დასაშვებია, მისთვის



- შედეგს (დაზუსტდეს) იმდენი ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რამდენ მოდულშიც გამოვლინდება სწავლასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი სირთულეები.
9. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას მოდულს და წარმოადგენს მის მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) და/ან აკომოდაციას (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილებას მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) და, შესაბამისად, აზუსტებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისთვის საჭირო დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას.
  10. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა გამოიყენება, როგორც სახელმძღვანელო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებისთვის. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის მიმდინარე შეფასება ხორციელდება ინდივიდუალურად განსაზღვრულ მისაღწევ სწავლის შედეგებთან, ხოლო საბოლოო შეფასება და კრედიტების მინიჭება - მოდულის მოთხოვნებთან მიმართებით.
  11. სწავლის დაწყებიდან სამი კვირის განმავლობაში მოდულის განმახორციელებელი/პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია აცნობოს პროფესიული განათლების განვითარების სამსახურს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის სასწავლო საჭიროებ (ებ)ის შესახებ სასწავლო პროცესზე დაკვირვების შედეგად;
  12. მოთხოვნის საფუძველზე სწავლის დაწყებიდან ერთი თვის განმავლობაში იქმნება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელშიც მონაწილეობას იღებს პროფესიული განათლების მასწავლებელი და პროგრამის ხელმძღვანელი.
  13. ისე შედგენისას პროფესიული განათლების მასწავლებელი აქტიურად თანამშრომლობს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტთან.
  14. ადაპტირებული, ანუ ინდივიდუალური სასწავლო მოდულით/პროგრამით სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის სწავლებისას პროფესიული განათლების მასწავლებელი ორიენტირებულია მოდულის/პროგრამის ფარგლებში სტანდარტულად განსაზღვრულ სწავლის შედეგებსა და შესრულების კრიტერიუმებზე. ის მიზნად ისახავს არა მხოლოდ პროფესიული სტუდენტის მაქსიმალურ მიახლოებას კომპეტენციისთვის დადგენილ ზღვართან, არამედ მის გადალახვას. მოდულით/პროგრამით განსაზღვრული სასწავლო შედეგის/შედეგების მისაღწევად პროფესიული განათლების მასწავლებელი განსაზღვრავს უახლოეს, დასაძლევად შესაძლებელ ნაბიჯებს (ქვემიზნებს ან მოკლევადიან ინდივიდუალურ მიზნებს), რომლებიც სასწავლო შედეგის შემადგენელ ერთეულს წარმოადგენს და მას აქვს პრაქტიკული მნიშვნელობა.
  15. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა არ მტკიცდება. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში ჩასატარებელი დამატებითი მეცადინეობების, რესურსის საჭიროებების და სხვ. შესახებ ინფორმაციას პროფესიული განათლების განვითარების სამსახურს წერილობით აცნობებს პროფესიული განათლების მასწავლებელი/ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი/ინკლუზიური განათლების სასწავლო პროცესის ასისტენტი;
  16. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საფუძველზე პროფესიული განათლების მასწავლებელი უფლებამოსილი ხდება სასწავლო პროცესის ფარგლებში: მიმართოს სწავლების განსხვავებულ ხერხებსა და სტრატეგიებს; შეარჩიოს და გამოიყენოს პროფესიული



სტუდენტისთვის ეფექტური სწავლა-სწავლების, ინსტრუქტაჟის მეთოდები; პროფესიული სტუდენტისთვის დაადგინოს საათების განაწილების განსხვავებული, ინდივიდუალური სქემა; განსაზღვროს, შეცვალოს და გამოიყენოს პროფესიული სტუდენტისთვის ოპტიმალური სასწავლო გარემო; საჭიროების შემთხვევაში გამოიყენოს დამატებითი ადაპტირებული ტექნიკური აღჭურვილობა; გამოიყენოს საჭირო რაოდენობით სასწავლო მასალა და ნედლეული; შეცვალოს სასწავლო პროცესის მიმდინარეობა.

### **მუხლი 38. სწავლის შედეგების შეფასების სისტემის ვერიფიკაცია**

1. სწავლის შედეგების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მიზნით პროფესიული განათლების განვითარების სამსახური აქტიურად თანამშრომლობს სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან.
2. ვერიფიკაცია ხორციელდება სამი მიმართულებით:
  - ა) შეფასებისას გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია;
  - ბ) შეფასების პროცესის ვერიფიკაცია,
  - გ) მტკიცებულების ვერიფიკაცია;
3. ვერიფიკაციას ახორციელებს შიდა ვერიფიკაციის ჯგუფი, რომელიც იქმნება სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით, რომლითაც განესაზღვრებათ ფუნქცია-მოვალეობები.
4. ვერიფიკაციის ჯგუფი შედგება ვერიფიკაციაზე პასუხისმგებელი პირისაგან, დარგის კომპეტენტური სპეციალისტისაგან ან/და ადმინისტრაციის წარმომადგენლისგან, რომელსაც გააჩნია შესაბამისი კომპეტენცია (მოდულური/დუალური პროგრამების სწავლების გამოცდილება);
5. ვერიფიკაციის მექანიზმი მოიცავს საკითხებს:
  - ა) შერჩევის მექანიზმი (რისკების სისტემა);
  - ბ) ვერიფიკაციის პროცესზე პასუხისმგებელი პირი;
  - გ) ვერიფიკაციის განმახორციელებელი პირები;
  - დ) ვერიფიკაციის პროცედურა ( დასკვნა, დასკვის განხილვა, სამოქმედო გეგმადა ა.შ).
6. ვერიფიკაციის პროცესის სირთულიდან გამომდინარე ეს ხდება შერჩევითი პრინციპით. ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი შეიმუშავებს რისკების სისტემას პროფესიული განათლების განვითარების სამსახურთან თანამშრომლობით. ეს შესაძლო იყოს: დამწყები პროფესიული განათლების მასწავლებლის ფაქტორი, სანდო პროფესიული განათლების მასწავლებლის შერჩევითი პრინციპით შემოწმება, პრაქტიკული დავალებების სიმრავლე, ერთი ინსტრუმენტით ერთდროულად შესაფასებელი სწავლის შედეგების რაოდენობა, საგანმანათლებლო სტანდარტის ცვლილება და სხვა.
7. ვერიფიკაციის პროცესს ხელმძღვანელობს პროფესიული პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში ვერიფიკაციის იმ ნაწილს განახორციელებს, რაც დარგის კომპეტენციას არ მოითხოვს.
8. ვერიფიკაციის პროცესში იმ ნაწილს, რომელიც დარგის ცოდნას მოითხოვს, ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვით, მონაწილეობს დარგის სპეციალისტი;



## 9. ინსტრუმენტის ვერიფიკაცია ეფუძნება პრინციპებს:

- ვალიდურობას;
- სანდოობას;
- გამჭვირვალობას;
- სამართლიანობას;
- ობიექტურობას

### 9.1. სანდოა შეფასება თუ:

- ა) შეფასების შედეგები ერთი და იგივეა, მიუხედავად იმისა, თუ ვინ და როდის აფასებს პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგებს;
- ბ) გამოიყენება ვალიდური შეფასების მექანიზმები;
- გ) ეფუძნება შეფასების მკაფიოდ განსაზღვრულ კრიტერიუმებს;
- დ) ის უცვლელია განსაზღვრული დროის განმავლობაში.
- ე) საშუალებას აძლევს პროფესიული განათლების მასწავლებელს, მიღებულ იქნას სანდო და სამართლიანი გადაწყვეტილება ყველა პროფესიულ სტუდენტთან მიმართებაში.

### 9.2. ვალიდურობა არის შეფასების სიზუსტისა და შესაბამისობის საზომი. შეფასება ვალიდურია, როდესაც:

- ა) პროფესიული განათლების მასწავლებელი შეფასების მიზნის შესაბამისად გეგმავს შეფასების პროცესს;
- ბ) შეფასების ინსტრუმენტები შერჩეულია შეფასების მიზნიდან გამომდინარე (მაგ. პრაქტიკული უნარების შესაფასებლად გამოყენებულია დაკვირვება და პრაქტიკული კომპონენტის შეფასების სხვა შესაბამისი შეფასების ინსტრუმენტები).
- გ) პროფესიული განათლების მასწავლებელი პროფესიულ სტუდენტს აძლევს შესაძლებლობას შესაბამისი მტკიცებულებების საფუძველზე წარმოაჩინოს კონკრეტული კვალიფიკაციისთვის აუცილებელი ცოდნა და უნარები.
- დ) საშუალებას აძლევს პროფესიული განათლების მასწავლებელს, მიღებულ იქნას სანდო და სამართლიანი გადაწყვეტილება ყველა პროფესიულ სტუდენტთან მიმართებაში.

### 9.3. ობიექტურობა, სამართლიანობა, გამჭვირვალობა

ა) ობიექტური და სამართლიანი შეფასება უნდა იყოს გამჭვირვალე. მასში ნათლად უნდა იყოს განსაზღვრული კონკრეტული კრიტერიუმები, რომელთა მიხედვითაც, მაქსიმალურად ობიექტურად და სამართლიანად შეფასდება ნებისმიერი პროფესიული სტუდენტის ესა თუ ის სწავლის შედეგი. სასურველია, რომ შეფასების კრიტერიუმები წინასწარ იყოს ცნობილი პროფესიული სტუდენტისათვის.

ბ) მიუხედავად იმისა, შეფასება ხორციელდება წერიითი/ზეპირი გამოკითხვის, პრაქტიკული დავალების, ტესტისა თუ სხვა გამოკითხვის მეთოდით, პრინციპი უნდა იყოს ერთგვაროვანი.

გ) სასურველია პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალური შესაძლებლობებისა და საჭიროებების გათვალისწინებით შეირჩეს შეფასების შესაბამისი ინსტრუმენტი და სწავლის შედეგის დადასტურებისათვის საჭირო გარემო.



დ) შეფასების ინსტრუმენტი უნდა იყოს ადვილად გასაგები და პროცესში ჩართულ ყველა პირს, მათ შორის, პროფესიულ სტუდენტს ერთმნიშვნელოვნად ესმოდეს მისი შინაარსი. თუმცა, სიმარტივე უნდა გამორიცხავდეს მტკიცებულებებიდან რომელიმეს უგულებელყოფას.

10. შეფასების პროცესის ვერიფიკაცია გულისხმობს შეფასების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების შემოწმებას;
11. მტკიცებულება უნდა იყოს ვალიდური, ავთენტური, საკმარისი და მოდულის სპეციფიკაციით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისი.

11.1.1. მტკიცებულების საკმარისობა – მტკიცებულება საკმარისია, თუ ამ მტკიცებულების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პროფესიულ სტუდენტს შეუძლია საქმიანობის განხორციელება შესრულების კრიტერიუმების შესაბამისად.

11.1.2. მტკიცებულების ვალიდურობა – ვალიდურია მტკიცებულება, თუ ის ზუსტად ასახავს იმას, რაც უნდა შეფასებულიყო.

11.1.3. მტკიცებულების ავთენტურობა – მტკიცებულება ავთენტურია, თუ ის შესრულებულია შესაფასებელი პირის მიერ.

12. შიდა ვერიფიკაზე პასუხისმგებელი პირი რისკების ფაქტორების გათვალისწინებით:

- ა) ადგენს ვერიფიკაციის გეგმას;
- ბ) არჩევს ვერიფიკაციის სამიზნე ინსტრუმენტს;
- გ) არჩევს ვერიფიკატორებს სამიზნე პირებთან შეთანხმებით და დასამტკიცებლად წარუდგენს რექტორს;
- დ) ახორციელებს ინსტრუქტაჟს ვერიფიკატორისთვის/ვერიფიკატორებისთვის;
- ე) ახდენს შესამოწმებელ მტკიცებულებათა იდენტიფიცირებას ვერიფიკატორებთან ერთად
- ვ) ახორციელებს შესამოწმებელი ინსტრუმენტისა და მტკიცებულებების გამოთხოვას სასწავლო პროცესის მართვაზე პასუხისმგებელი პირებიდან ან/და პროგრამის ხელმძღვანელიდან ;

13. შეფასების ინსტრუმენტისა და მტკიცებულებების ვერიფიკაცია ხორციელდება წინასწარ შემუშავებული შეფასების ფორმების შესაბამისად, რომელიც მტკიცდება სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ.

14. ინსტრუმენტის შეფასების მიმართულებისა და მტკიცებულებების შესაბამისობის (მათ შორის მტკიცებულებების ფიზიკურად არსებობა, შესაფასებელი პირის იდენტიფიცირების შესაძლებლობა და ა.შ.) ლოჯისტიკური საკითხების გადამოწმებას ახორციელებს ადმინისტრაციის კომპეტენტური ვერიფიკაციის ჯგუფის წევრი, ხოლო ინსტრუმენტის შინაარსობრივ და მასთან დაკავშირებული საკითხების, ამასთან მტკიცებულების ვალიდურობის შეფასებასთან დაკავშირებული საკითხების ვერიფიკაციას -დარგის სპეციალისტი.

15. ვერიფიკაციის ჯგუფი ამზადებს დასკვნის პროექტს ვერიფიკაციის შედეგებთან დაკავშირებით, ახორციელებს მის გაზიარებას პროფესიული განათლების განვითარების სამსახურთან/პროფესიული პროგრამების განყოფილებასთან და თანხმდებიან რეკომენდაციებზე (საჭიროების შემთხვევაში);

16. ვერიფიკაციის ჯგუფი განხორციელებული ვერიფიკაციის პროცესის შესახებ საბოლოო დასკვნას რეკომენდაციებით (საჭიროების შემთხვევაში) წარუდგენს ხარისხის



უზრუნველყოფის სამსახურს, რომელიც წარუდგენს სასწავლო უნივერსიტეტის რექტორს, შემდგომი ღონისძიების გატარების მიზნით;

17. სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი საჭიროების შემთხვევაში გასცემს დავალებებს პროცესის გასაუმჯობესებლად, რომლის საფუძველზეც პროფესიული განათლების განვითარების სამსახური/პროფესიული პროგრამების განყოფილება ვალდებულია შეადგინოს რეკომენდაციების შესრულების გეგმა და იყოს ანგარიშვალდებული მის შესრულებაზე, ხოლო გეგმის შესრულებაზე მონიტორინგი ეკისრება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს.

### **მუხლი 39. შეფასების შედეგების გასაჩივრება/აპელაცია**

1. პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია გამოცდების შედეგების გაცნობიდან 2 სამუშაო დღის ვადაში მიმართოს რექტორს განცხადებით და მოითხოვოს მტკიცებულებების გაცნობა და გადასინჯვა.
2. განმსაზღვრელი შეფასებების შედეგებთან დაკავშირებული საჩივრების განხილვის მიზნით სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით იქმნება დროებითი სააპელაციო კომისია, რომლის წევრები შეიძლება იყოს პროფესიული განათლების განვითარების სამსახურის უფროსი, პროფესიული პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის კოორდინატორი, მოწვეული მასწავლებელი ან დარგის სპეციალისტი, რომელიც არ არის იმავე გამოცდის გამსწორებელი გარდა იმ შემთხვევისა, როცა მოდულს ერთი პროფესიული განათლების მასწავლებელი ასწავლის.
3. სააპელაციო კომისია ვალდებულია ყოველმხრივ შეისწავლოს და ობიექტურად განიხილოს საჩივარი 3 სამუშაო დღეში, ხოლო მიიღოს გადაწყვეტილება განცხადების შემოტანიდან მაქსიმუმ 5 სამუშაო დღის ვადაში განმსაზღვრელი შეფასების დადასტურების ან არდადასტურების შესახებ.
4. წინმსწრები მოდულის განმსაზღვრელი შეფასების შედეგების გასაჩივრების შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტი გასაჩივრების პროცედურის პარალელურად არ ეთიშება სასწავლო პროცესს გასაჩივრების შედეგების დადგომამდე. მომდევნო მოდულის განმსაზღვრელ შეფასებაში მონაწილეობის უფლების გარეშე. თუ გასაჩივრების შედეგი სტუდენტის სასარგებლოდ გადაწყდა, მაშინ ის აგრძელებს სწავლას, ხოლო თუ მისი საჩივარი არ დაკმაყოფილდა ეთიშება სასწავლო პროცესს სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის ინდივიდუალურისამართლებრივი აქტით.



## თავი VI-

### პროფესიული სტუდენტებისტის კვალიფიკაციის მინიჭებისა, დიპლომის და სერტიფიკატის გაცემის წესი

#### მუხლი 40. კვალიფიკაციის მინიჭება

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა სრულდება პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით გათვალისწინებული ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-3/მე-4/მე-5 დონის შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებითა და დიპლომის გაცემით.

2. პროფესიული მომზადების, პროფესიული გადამზადების პროგრამა სრულდება კვალიფიკაციის დამადასტურებელი, სახელმწიფოს მიერ აღიარებულ პროფესიული განათლების დამადასტურებელ სერტიფიკატით.

3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პროფესიულ სტუდენტებს პროფესიულ კვალიფიკაციას ანიჭებს შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, რაზეც რექტორი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს: ყველა ზოგადი და პროფესიული სავალდებულო მოდულით გათვალისწინებული კრედიტები, არსებობის შემთხვევაში არჩევითი პროფესიული მოდულებიდან პროფესიული პროგრამით გათვალისწინებული კრედიტი/კრედიტები, ასევე შესაძლებელია კვალიფიკაციის მინიჭების დამატებითი პირობა იყოს საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება.

4. დუალური პროგრამების პროფესიული სტუდენტებისთვის პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა განსაზღვრავს 50% მეტი სწავლის შედეგების რეალურ სამუშაო გარემოში მიღწევას. პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭების დამატებითი პირობაა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება.

5. შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში პროფესიული დიპლომების გაცემა რეგულირდება „შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის დიპლომის ფორმის გამოსაყენებლად შემოღების, აღრიცხვა-ანგარიშგებისა და გაცემის წესისა“ და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

6. სსსმ პირი, რომლის მიერ ვერ იქნება ათვისებული პროგრამით გათვალისწინებული ყველა სასწავლო კურსის/მოდულის სწავლის შედეგები ითვლება კურსმოსმენილად და მოთხოვნის შემთხვევაში მასზე გაცემა ცნობა კურსმოსმენის თაობაზე პროგრამის ფარგლებში დაძლეული სწავლის შედეგების მითითებით.

#### მუხლი 41. დიპლომი და სერტიფიკატი

1. პროფესიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტებია – დიპლომი და სერტიფიკატი.

2. დიპლომი – მინიჭებული კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი;



3. პროფესიული მომზადების პროგრამით ან პროფესიული გადამზადების პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა დასტურდება სერტიფიკატითა და დანართით.

4. დიპლომის დანართი/სერტიფიკატის დანართი – დოკუმენტი, რომელსაც დიპლომთან/სერტიფიკატთან ერთად იღებს პროფესიული სტუდენტი/მსმენელი მის მიერ მიღებული განათლების შინაარსის დასადასტურებლად;

5. სერტიფიკატი – გაცემული დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს პირის მიერ პროფესიული მომზადების პროგრამით ან პროფესიული გადამზადების პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგის, აგრეთვე ცალკეული მოდულებით განსაზღვრული სწავლის შედეგის მიღწევას;

6. მოდულით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა, მოთხოვნის შემთხვევაში, დასტურდება სერტიფიკატითა და დანართით.

#### **მუხლი 42. დიპლომის და სერტიფიკატის გაცემის წესი**

a. დიპლომისა და სერტიფიკატის გაცემა რეგულირდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 მაისის „პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის და მისი დანართის ფორმების დამტკიცების შესახებ“ №99/ნ ბრძანებით.

b. დიპლომის და სერტიფიკატის გაცემა ხორციელდება სასწავლო უნივერსიტეტის „შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის უმაღლესი და პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტების ფორმების გამოსაყენებლად შემოღების, აღრიცხვა-ანგარიშგებისა და გაცემის წესის“ შესაბამისად.

c. რეგისტრაციის ჟურნალის შენახვასა და წარმოებაზე პასუხისმგებელია სასწავლო პროცესისა და პრაქტიკის მართვის განყოფილების სპეციალისტი წინამდებარე სასწავლო უნივერსიტეტის „შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის უმაღლესი და პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტების ფორმების გამოსაყენებლად შემოღების, აღრიცხვა-ანგარიშგებისა და გაცემის წესის“ დანართი N2-ის შესაბამისად.

#### **მუხლი 43. რეკომენდაციები პროფესიულ სტუდენტთა დასაქმებისა ან სწავლების მომდევნო საფეხურზე სწავლის გაგრძელების მიზნებისათვის**

1. სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ ნებისმიერ პირს შეუძლია გასცეს რეკომენდაცია პროფესიული სტუდენტის დასაქმებისთვის.

2. პროფესიული განათლების მომდევნო საფეხურზე სწავლა შესაძლებელია მხოლოდ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.





#### **მუხლი 44 პროფესიულ სტუდენტთა რეესტრი**

სსიპ შოთა მესხიას სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიულ სტუდენტთა კონტინგენტის მონაცემები შესაბამისი ცვლილებებით რეგისტრირდება განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის „პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის სისტემის“ რეესტრში.

#### **თავი VI**

#### **მუხლი 45. ცვლილებები და დამატებები**

წინამდებარე წესში შეიძლება შევიდეს ცვლილებები და დამატებები სასწავლო უნივერსიტეტის უფლებამოსილი გადაწყვეტილებებით.